



საქართველოს იუსტიციის
სახსნავლო ცენტრი

ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების მართლწერის გზამკვლევი

თბილისი
2024

სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი

ავტორ-შემდგენელი — **თეა ბურჭულაძე, ფილოლოგიის
დოქტორი**

ყველა უფლება დაცულია.

გბამკვლევში მოცემული მასალის გამოყენებისთვის აუცილებელია საავტორო უფლების მფლობელის ნებართვა.

© სსიპ საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრი, 2024

ISBN 978-9941-8-7271-6

წინასიტყვაობა

იუსტიციის სასწავლო ცენტრი არის იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი. ცენტრის მთავარი მანდატი და ინსტიტუციური როლია, გააძლიეროს იუსტიციის სამინისტროს სისტემა თანამშრომელთა პროფესიული ცოდნისა და უნარების განმავითარებელი სასწავლო პროგრამებით; ხელი შეუწყოს სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესებას მომსახურების გამცემ თანამშრომელთა სისტემატური გადამზადებით; მხარი დაუჭიროს ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს სპეციალური სასწავლო პროგრამების შემუშავებით, ინფორმაციის გამავრცელებელი შეხვედრებითა (საჯარო ლექცია, ტრენინგი და სხვ.) და სხვადასხვა სტრატეგიული პროექტების განხორციელებით.

ცენტრი აქტიურად არის ჩართული ქართული ენის დაცვისა და განვითარების ხელშეწყობის პროცესში. ცენტრი ქართულ ენას უფასოდ ასწავლის ეროვნულ უმცირესობებს. სწავლების მიზანია ენობრივი ბარიერების შემცირებით ხელი შეუწყოს არაქართულენოვანი მოსახლეობის ინტეგრაციას თანამოქალაქეებთან, გაუმარტივოს სახელმწიფო სერვისებით სარგებლობა და დასაქმება. კურსის გავლის დამადასტურებელი სერტიფიკატი 2015 წლიდან დღემდე 300-ამდე მონაწილეზე გაიცა.

ამასთან, 2024 წელს სასწავლო ცენტრმა შექმნა ქართული ენის ონლაინკურსი, რომელიც არის უფასო და ყველასთვის ხელმისაწვდომი ონლაინრესურსი. კურსი განთავსებულია ცენტრის დისტანციური სწავლების პლატფორმაზე – eacademy.tcj.gov.ge. მისი გავლა შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს. დღეისათვის მასში ჩართულია 430-ამდე მომხმარებელი. კურსი გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გერმანიის მთავრობის მხარდაჭერით შეიქმნა.

გარდა ამისა, ცენტრმა 2016 წელს შეიმუშავა ქართული ენის ცოდნის დონის შესაფასებელი ტესტი ენობრივი კომპეტენციების შეფასების საერთოევროპულ ჩარჩოზე დაფუძნებით, რითაც შექმნა ქართულის, როგორც უცხო ენის, შეფასების პრეცედენტი. ცენტრის მიერ გაცემულმა სერტიფიკატმა ბენეფიციარებს, მათ შორის, სხვადასხვა ქვეყანაში ქართული სათვისტომოს წარმომადგენლებს მისცა შესაძლებლობა, ჰქონოდათ ქართული ენის ცოდნის დონის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ცენტრს სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამის (სტრატეგიის) სამოქმედო გეგმით აქვს აღებული ვალდებულებები, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი/აქტივობა, კერძოდ:

2022 წელს ცენტრმა იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შექმნილი ოფიციალური დოკუმენტები ენობრივად გააანალიზა. კვლევის მიზანი იყო ოფიციალური დოკუმენტების ანალიზი, ტიპობრივი შეცდომების გამოკვეთა, კლასიფიკაცია და ზოგადი რეკომენდაციების შემუშავება.

2024 წელს ცენტრმა შეიმუშავა მართლწერის წინამდებარე გზამკვლევი, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სახელმწიფო დაწესებულებებსა თუ კერძო ორგანიზაციებში დასაქმებულ პირებს ქართული სალიტერატურო ენის ნორმების მარტივად გაგებასა და ოფიციალური დოკუმენტების შექმნისას დაშვებული ტიპობრივი შეცდომების თავიდან არიდებაში. შესაბამისად, გზამკვლევი კონკრეტული მაგალითების საფუძველზე ამახვილებს ყურადღებას ხშირად დაშვებულ შეცდომებზე და დაინტერესებულ პირებს სთავაზობს მათი სწორი ფორმებით შეცვლის შესაძლებლობას.

შინაარსი

შესავალი 13

თემა I. ორთოგრაფია-მორფოლოგიის საკითხები 17

1.1 ზედსართავ სახელთა მართლწერის პრობლემები 18

1.1.1 ნასესხები სახელებისაგან -ურ/-ულ ბოლოსართით ზედსართავ სახელთა წარმოება: სპეციფიური/სპეციფიკური; ფსიქიური/ფსიქიკური 18

1.1.2 -ურ/-ულ ბოლოსართებიანი ზოგი უცხოური ზედსართავი სახელის მართლწერის პრობლემები: ელემენტალური/ელემენტარული; ორდინალური/ორდინარული; სტაციონალური/სტაციონარული 22

1.1.3 ორმაგი წარმოების შემთხვევები ზედსართავ სახელებში (-ალ + -ურ/-ულ): ფუნდამენტალური/ფუნდამენტური; ტერიტორიალური/ტერიტორიული; პარადოქსალური/პარადოქსული 24

1.1.4 ო ხმოვნის ჭარბად გამოყენება სიტყვებში: სამსახურობრივი/სამსახურებრივი; მომსახურეობა/მომსახურება 26

1.2 რიცხვით სახელთა მართებულად დაწერილობის საკითხები 28

1.2.1 რთულფუძიანი რიცხვითი სახელების მართლწერა: 5 დღიანი/5-დღიანი; 3 ქულიანი/3-ქულიანი; 10 პუნქტიანი/10-პუნქტიანი 28

1.2.2 თანდებულდართული რიცხვითი სახელის მართლწერა: 8-დან/8-იდან; 17-მდე/17-ამდე..... **30**

1.2.3 1-ელი რიცხვითი სახელის სწორად დაწერილობის საკითხი **32**

1.3 ზოგი ნაცვალსახელის გამოყენების პრობლემები .. 34

1.3.1 პირის ნაცვალსახელთა და მყარი შესიტყვებების ბრუნვაში შეწყობა ცალკე მდგომ თანდებულებთან, კუთვნილებითი ნაცვალსახელის ბრუნვაში შეწყობა სახელთან: ჩვენს მიერ/ჩვენ მიერ; თქვენ განცხადებაში/თქვენს განცხადებაში **34**

1.3.2 იგივე/ერთი და იგივე ნაცვალსახელის არასწორად გამოყენების შემთხვევები..... **38**

1.4 რთული სიტყვების დაწერილობის საკითხი 40

1.4.1 უცხო სიტყვით მიღებული რთული სიტყვების მართლწერა: სერვის ცენტრი/ სერვისცენტრი; ვებ-გვერდი/ ვებგვერდი..... **40**

1.4.2 ზოგი სახის სამკომპონენტო რთული სიტყვების მართლწერა: აუდიო და ვიდეო ჩანაწერი/აუდიო- და ვიდეოჩანაწერი..... **42**

1.4.3 ერთგნებიანი რთული სიტყვების მართლწერა: ვინრო პარტიული/ვინროპარტიული; ვინრო უწყებრივი/ვინროუწყებრივი; ახალ შექმნილი/ახალშექმნილი **44**

1.4.4 არც ერთი/არცერთი, ვერც ერთი/ვერცერთი, ნურც ერთი/ნურცერთი სიტყვების დაწერილობის საკითხი ... **48**

**1.5 თანდებულის სახელთა მართლწერის დარღვევის
ზოგი საკითხი..... 50**

1.5.1 და კავშირით შეერთებულ სახელებთან დართული ერთი და იმავე თანდებულის მართლწერა: გზებზე და ხიდებზე/გზებსა და ხიდებზე; ქუჩებში და ბალებში/ქუჩებსა და ბალებში..... **50**

1.6 ზმნათა მართლწერის ზოგი საკითხი 52

1.6.1 პირის ნიშნების მართლწერის დარღვევის შემთხვევები: შეთავაზებს/შესთავაზებს; შეპირდა/შეჰპირდა; წარსდგა/წარდგა **52**

1.6.2 ზმნისწინთა მართლწერის პრობლემები: ანსახიერებს/ასახიერებს; ანსხვავებს/ასხვავებს **56**

1.6.3 რიცხვში მონაცვლე ზმნათა მართლწერის პრობლემები: შევარდნენ/შეცვივდნენ; გატეხეს/დაამტვრიეს; მოკლა/დახოცა..... **58**

1.6.4 შედგენილი შემასმენლისა და ე.წ. აღწერილობითი ვნებითის მართლწერის დარღვევის საკითხები: დადგენილი იქნა/დადგენილ იქნა; არჩეული იქნა/არჩეულ იქნა..... **60**

1.6.5 შედგენილი შემასმენლისა თუ აღწერილობითი ვნებითის შესაბამის ობიექტთან რიცხვში შეწყობის მართლწერა: უზრუნველყოფილნი არიან/უზრუნველყოფილი არიან; უფლებამოსილნი არიან/უფლებამოსილი არიან; წარმოდგენილნი არიან /წარმოდგენილი არიან **62**

1.6.6 ვ ბგერის ჩართვა-დაკარგვის პრობლემები: ერთვოდა/ერთოდა; გაუმართავობა/გაუმართაობა..... **64**

1.7 ზოგი უცხო სიტყვის დანერილობის პრობლემები... 66

1.7.1 ბიულეტენი/ბიულეტენი; აბსოლიტურად/აბსოლუტურად 66

1.7.2 სერტიფიკატი/სერტიფიკატი..... 67

1.7.3 ლათინური qv ჯგუფის ქართულად გადმოცემის საკითხი: ადექვატური/ადეკვატური; ექვივალენტური/ექვივალენტური 68

1.7.4 რეკომენდირებული/რეკომენდებული; პოლიტიზირებული/პოლიტიზებული; სტაბილიზირებული/სტაბილიზებული..... 69

1.7.5 დასასრულს/დასასრულ სიტყვების შერჩევა 71

1.7.6 ახლახანს/ახლახან 72

თემა II. სინტაქსის საკითხები..... 73

2.1 წოდება-თანამდებობისა და ხელობა-პროფესიის აღმნიშვნელ სიტყვათა ბრუნება საკუთარ სახელებთან ერთად: მსჯავრდებული ბუცხრიკიდის/მსჯავრდებულ ბუცხრიკიდის 74

2.2 რომელიც წევრ-კავშირის მისამართ წევრთან რიცხვში შეთანხმების დარღვევები: საკითხები, რომელიც/საკითხები, რომლებიც 77

2.3 როგორიც წევრ-კავშირის მისამართ წევრთან რიცხვში შეთანხმების დარღვევები: გარემოებები, როგორიც გარემოებები, როგორებიც 80

2.4	რადგან და რათა კავშირების არასწორად გამოყენების შემთხვევები	82
2.5	რაც — რომელიც კავშირების აღრევით გამოყენების შემთხვევები	84
	თემა III. სტილისტიკური შეცდომები	85
3.1	კალკები	86
3.1.1	სახეზეა, საქმე იმაშია, მიმართებაშია, კავშირშია...	86
3.1.2	ადგილი აქვს	88
3.1.3	მიმართებაში.....	90
3.1.4	კავშირშია.....	91
3.1.5	რეჟიმში.....	92
3.1.6	საქმე იმაშია	93
3.1.7	არასწორი ფორმები: ჩატარდა, შედგა.....	94
3.1.8	ახდენს, მოახდინა, ხდება.....	95
3.1.9	ხელოვნური ფორმები: შეფასება მისცა, შეფასება გაუკეთა.....	97
3.1.10	ხელოვნური ფორმები: ახორციელებს დადასტურებას, ახორციელებს შესყიდვას	98
3.1.11	წარმოებს — აწარმოებს	99
3.1.12	ენყობა — აწყობს	100

3.1.13 მიმდინარეობს	101
3.1.14 ზომებს ატარებს/ზომებს იღებს	102
3.1.15 არაბუნებრივი გამოთქმები: არგუმენტები/მაგალითები/ციტატები/ილუსტრაცია/მასალა მოაქვს.....	103
3.2 სხვა სახის სტილისტიკური ხარვეზები.....	105
3.2.1 ერთ წინადადებაში ერთი და იმავე ფუძის ზმნისა და სახელზმნის ერთად გამოყენების ტავტოლოგიური ხარვეზი.....	105
3.2.2 ზოგი ზმნის გამოყენების სტილისტიკური შეცდომები: გააჩნია, მოეპოვება, აბადია, მოეძვეება.....	108
3.2.3 შეცდომები წელ-სიტყვის თანდებუიანი ფორმით გამოყენებისას: 2024 წელში/2024 წელს	110
3.2.4 თანდებულად გამოყენებული წინ და უკან სიტყვების არასწორად გამოყენების შემთხვევები: სამი დღის უკან; ხუთი წლის უკან; ერთი თვის უკან.....	112
3.2.5 წარმოდგენილი ვარ/წარმოდგენილი ხარ	114
3.3 პარონიმების აღრევის შემთხვევები	116
3.3.1 პიროვნება/პირი	116
3.3.2 სწორედ/სწორად	118
3.3.3 ეპიდემიოლოგიური/ეპიდემიური	119
3.3.4 გასასამართლებელი/გასამართლებული	120

**თემა IV. აბრევიატურის მართებულად დაწერილობის პრობ-
ლემები 121**

4.1 გახმოვანებული აბრევიატურების წარმოება 122

4.2 გაუხმოვანებული აბრევიატურების წარმოება ... 126

თემა V. პუნქტუაციის ზოგი საკითხი..... 129

5.1 მძიმის არასწორად გამოყენების საკითხები 130

5.1.1 მძიმის არასწორად გამოყენება კავშირ თუმცა-ს
შემდეგ **130**

5.1.2 მძიმის არასწორად გამოყენება ზოგი ნაწილაკი-
სა და კავშირის შემდეგ: მაგრამ, კი, გამო, მიერ, თურმე,
თუნდაც, შემდეგ/შემდგომ, თითქოს, თითქმის, სწორედ,
მაინც, ასევე..... **131**

5.1.3 მძიმის არასწორად გამოყენება ინტონაციურ პაუ-
ზასთან..... **133**

5.1.4 მძიმის ზედმეტად გამოყენება გარკვეული დროის
მითითების შემდეგ (რიცხვის, თვის, წლის) **136**

5.1.5 მძიმის გამოყენება სახელ-გვარის წინ მოცემულ
თანამდებობისა თუ სტატუსის აღმნიშვნელ სიტყვებთან,
როცა ისინი მიცემით ან ნათესაობით ბრუნვებშია დას-
მული **137**

5.1.6 მძიმის ჭარბი გამოყენების შემთხვევები მოთხ-
რობით ბრუნვაში, როცა გარკვეული ხელობა-თანამდე-
ბობის აღმნიშვნელ სიტყვას მოჰყვება სახელი და გვა-
რი **138**

5.1.7 მძიმის გამოყენება განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების, ჩართულის, დანართის ან მიმართვის გამოსაყოფად.....	139
5.1.8 მძიმის დასმა შესიტყვებებთან: ერთი მხრივ, მეორე მხრივ	140
5.1.9 მძიმის დასმის საკითხი ჩართულ სიტყვებთან	142
5.2 წერტილის დასმის საკითხი სიტყვის შემოკლებისას	144
5.3 დაწესებულებათა სახელწოდებებთან ბრჭყალების დასმის საკითხი	146
თემა VI. წინადადების აგების სირთულეები.....	147
გამოყენებული ლიტერატურა:	151

შესავალი

ოფიციალურ-საქმიანი (საკანცელარიო) ენა გამოიყენება სახელმწიფო, სამოქალაქო და სამსახურებრივი ურთიერთობებისას. მისი ფუნქციონირების სფეროა როგორც მოქალაქეთა და სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა წერილობითი საქმიანი მიმონერა (მაგ., მოხსენება, ანგარიში, ინფორმაცია, პატაკი, ბრძანებულება, დადგენილება, წესდება, პროგრამა, განმარტება, რეცენზია, დახასიათება, ნოტა და ა. შ.), ისე ის მრავალგვარი საქმის ქალაღლი, რომელთა გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე სამოქალაქო სუბიექტის არსებობა (როგორიც არის: განცხადება, ცნობა, ახსნა-განმარტება, მოხსენებითი ბარათი, ხელშეკრულება, ოქმი და სხვ.).

საკანცელარიო ენის ფუნქციაა საქმიანი ურთიერთობის დამყარება ხელისუფლების ორგანოებთან, ცალკეულ პირებთან, დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, ქვეყნებთან საქმის ქალაღლების საშუალებით.

ამგვარ საკანცელარიო ენას ახასიათებს აზრის კონკრეტულობა, გედმინვნითი სიზუსტე, ენობრივი სტანდარტულობა, სიტყვათა გამოყენება პირდაპირი მნიშვნელობით, ლაკონიურობა. იგი უმთავრესად შეიცავს მსჯელობას, აღწერას, დასაბუთებას, ფაქტების დაზუსტებას, ანალიზს. საქმის ქალაღდის სტილი უაღრესად დახვეწილი უნდა იყოს. მისთვის არსებითია შინაარსის სიცხადე, სისრულე, სიზუსტე, კონკრეტულობა და სიმარტივე.

ძირითადი ნიშნები:

- თემისა და აზრის კონკრეტულობა;
- ამოცანის (მიზნის) გამოხატვის სიზუსტე და სიცხადე;
- ლაკონიურობა;

- ფორმობრივი სტანდარტულობა;
- ნორმატიულობა (სალიტერატურო ენის მოთხოვნათა მკაცრი დაცვა);
- ზმნათა განზოგადებული მესამე პირის (**ნარედგინა, გაიგ-ზავნა...**) და ე.წ. აღწერითი ფორმების (**დადგენილ იქნა, შემუშავებულ იქნა...**) გამოყენება;
- სიტყვათა გამოყენება პირდაპირი მნიშვნელობით;
- ოფიციალური კანცელარიული და სტატისტიკური მონაცემების ხშირი მითითება;
- მხოლოდ საქმიანი ურთიერთობისათვის ნიშანდობლივი სახელწოდებებისა და ტერმინების მოხმარება;
- შემოკლებებისა და აბრევიატურების გამოყენება;
- ტექსტის დათარიღება და ოფიციალური დამონშება (ხელმოწერით ან ბეჭდით).

წინამდებარე ნაშრომის მიზანია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შექმნილი ოფიციალური დოკუმენტების ენობრივი ნორმების თვალსაზრისით კვლევა და ამის საფუძველზე **ოფიციალურ-საქმიანი დოკუმენტების მართლწერის გზამკვლევის** შექმნა. ამ კუთხით გაანალიზდა რამდენიმე დაწესებულებიდან მონოდებული მასალა.

სამოქალაქო თუ სახელმწიფო დოკუმენტების ენობრივი ანალიზისას გამოვლინდა ზოგი სახის მორფოლოგიურ-ორთოგრაფიული, სინტაქსური, სტილისტიკური თუ პუნქტუაციური ტიპის შეცდომა. ამ კუთხით გაანალიზდა შემდეგი დოკუმენტები: განცხადება, ხელშეკრულება, მოხსენებითი ბარათი, რეკომენდაცია, ცნობა, ანგარიში, ოქმი, მიღება-ჩაბარების აქტი, ინსპექტირების აქტი...

ენობრივი ნორმების დარღვევები დაკავშირდა სათანადო კლა-

სიფიკაციის მიხედვით. თითოეულ თემაში უხვად არის მოცემული გაანალიზებული დოკუმენტებიდან გადმოტანილი დადასტურებული შეცდომები, რომლებსაც მოჰყვება მოკლედ და მარტივი ენით გადმოცემული **განმარტება, შენიშვნა** თუ **რეკომენდაციები**, ხოლო ბოლოს მოცემულია შესწორებული წინადადებები. ამგვარი სტრუქტურა ხელს შეუწყობს გამკვლევის მომხმარებელს, ოფიციალური დოკუმენტების შექმნისას იხელმძღვანელოს და გამოიყენოს ის შესაბამისად, რათა ტექსტი იყოს ენობრივად გამართული, მართებული და დახვეწილი.

ტექსტში მოცემული თითოეული სახელი და გვარი არის საკითხის საილუსტრაციოდ გამოგონილი. ნებისმიერი დამთხვევა რეალურ პირთან არის შემთხვევითი.

თემა I.

ორთოგრაფია-მორფოლოგიის საკითხები

1.1 ზედსართავ სახელთა მართლწერის პრობლემები

1.1.1 ნასესხები სახელებისაგან -ურ/-ულ ბოლოსართით ზედსართავ სახელთა წარმოება: სპეციფიური/სპეციფიკური; ფსიქიური/ფსიქიკური

მცდარი ფორმები:

სამინისტრო უზრუნველყოფს *სპეციფიური* დანიშნულების მქონე დანაყოფების სათანადოდ აღჭურვას.

წარმოდგენილ სარჩელში არაფერია ნათქვამი სასწავლო ცენტრში არსებული *დინამიური* პროცესების შესახებ.

ცნობის მიხედვით, აღნიშნულ პირს ნამდვილად აქვს *ფსიქიური* პრობლემები, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს საპროცესო გარიგების დროს.

ფიზიკურ სისუსტეს *ფსიქიური* აშლილობაც დაემატა, რის გამოც საჭირო შეიქნა გადაუდებელი ფსიქიატრიული ჩარევა.

მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა სწრაფად გატარდეს *პროფილაქტიური* ღონისძიებები.

სავალდებულოა, ბანერზე აღნიშნული იყოს *სპეციფიური* ნიშნები, რის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მოძრაობა.

განმარტება: ქართულ ენაში არის ნასესხები სიტყვები, რომლებიც იწარმოება *-ურ/-ულ* ბოლოსართით. შეცდომას ქმნის *იკა* კომპლექსზე ფუძეგათავებულ სახელთაგან ზედსართავების წარმოება *ია*-ზე ფუძეგათავებულ სახელთა მსგავსად, რამაც მოგვცა არასწორი ფორმები: *დინამიური, ფსიქიური, ესთეტიური, ლირიული, რომანტიული, ფანტასტიური, სპეციფიური, ეროტიული, ელასტიური...* გასათვალისწინებელია, რომ, თუკი სახელის ფუძე *იკა* კომპლექსზე თავდება, ბოლოკიდური *ა*-ს კვეციით, ზედსართავის დაბოლოებად *-იკურ/-იკულ* გვექნება.

მაშასადამე, **-იკა** კომპლექსზე ფუძეგათავებულ უცხოურ სახელთაგან ნაწარმოებ ბედსართავთა მართებული ფორმებია: **დინამიკური, ფსიქიკური, ესთეტიკური, ლირიკული, რომანტიკული, ფანტასტიკური, სპეციფიკური, ეროტიკული, ელასტიკური...**

შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი წინადადებები ასე გასწორდება:

სამინისტრო უზრუნველყოფს **სპეციფიკური** დანიშნულების მქონე დანაყოფების სათანადოდ აღჭურვას.

წარმოდგენილ სარჩელში არაფერია ნათქვამი სასაწავლო ცენტრში არსებული **დინამიკური** პროცესების შესახებ.

ცნობის მიხედვით, აღნიშნულ პირს ნამდვილად აქვს **ფსიქიკური** პრობლემები, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს საპროცესო გარიგების დროს.

ფიზიკურ სისუსტეს **ფსიქიკური** აშლილობაც დაემატა, რის გამოც საჭირო შეიქნა გადაუდებელი ფსიქიატრიული ჩარევა.

მდგომარეობის გამოსასწორებლად საჭიროა სწრაფად გატარდეს **პროფილაქტიკური** ღონისძიებები.

სავალდებულოა, ბანერზე აღნიშნული იყოს **სპეციფიკური** ნიშნები, რის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება მოძრაობა.

!!! სპეციფიკური წარმოებისაა ზედსართავ სახელთა ორი მოცილე ფორმა: ტიპური – ტიპობრივი, ფაქტიური – ფაქტობრივი.

მცდარი ფორმები:

მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს *ფაქტიურად* განეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, *ფაქტიურად* განეული მომსახურების მოცულობის შესაბამისად.

ესაა დანაშაულის *ტიპური* შემთხვევა, რომელსაც გამოძიება სჭირდება.

მოქალაქეს დაუდასტურდა *ტიპური* ფსიქიკური აშლილობის ნიშნები, რის გამოც სასამართლომ მიზანშეწონილად ცნო ჯანმრთელობის მდგომარეობის სრული გამოკვლევა.

განმარტება: სიტყვებში **ტიპური, ფაქტობრივი** ამოსავალი ფუძეებია **ტიპ-** და **ფაქტ-**. ამიტომ -იურ დაბოლოებას არ დაირთავენ, რადგან -ი ფუძისეული არაა (**ტიპური, ფაქტიური**). შესაბამისად, მართებულია: **ტიპი - ტიპური/ტიპობრივი, ფაქტი - ფაქტობრივი**.

მოყვანილი წინადადებები კი ასე გასწორდება:

მიმწოდებელმა შემსყიდველს უნდა წარუდგინოს **ფაქტობრივად** განეული მომსახურების შესაბამისად გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტი.

ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ლარში, **ფაქტობრივად** განეული მომსახურების მოცულობის შესაბამისად.

ესაა დანაშაულის **ტიპური/ტიპობრივი** შემთხვევა, რომელსაც გამოძიება სჭირდება.

მოქალაქეს დაუდასტურდა **ტიპური/ტიპობრივი** ფსიქიკური აშლილობის ნიშნები, რის გამოც სასამართლომ მიზანშეწონილად ცნო ჯანმრთელობის მდგომარეობის სრული გამოკვლევა.

1.1.2 -ურ/-ულ ბოლოსართებიანი ზოგი უცხოური ზედ-სართავი სახელის მართლწერის პრობლემები: ელემენტალური/ელემენტარული; ორდინალური/ორდინარული; სტაციონალური/სტაციონარული

მცდარი ფორმები:

დოკუმენტში მკაფიოდაა მითითებული, რომ აღნიშნულ ბავშვთა სახლში არაა *ელემენტალური* საარსებო პირობებიც კი.

პაციენტს მკურნალობენ *არაორდინალური* მეთოდებით, ისეთით, როგორც აპრობირებულია საზღვარგარეთის წამყვან კლინიკებში.

გვწერენ, რომ მას სასწრაფოდ სჭირდება *სტაციონალური* მომსახურება, რაც, ექსპერტის სიტყვებით, სიმართლეს არ შეესაბამება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს *ორდინალური* დადგენილებაა და ეჭვს არ იწვევს.

განმარტება: ზოგიერთი საერთაშორისო სიტყვის დაბოლოებად გვაქვს არა უცხოური წარმოშობის **-al** ელემენტი, არამედ **-ar(y)**, რომელიც დღეს ფუძისეულადაა გაგებული. ამიტომ, აღნიშნული წესის მიხედვით, მართებული ფორმები იქნება:

სტაციონარი – სტაციონარული

ორდინარი – ორდინარული (ექსტრაორდინარული)

ელემენტარი – ელემენტარული

შესაბამისად, მოხმობილი წინადადებები ასე გასწორდება:

დოკუმენტში მკაფიოდაა მითითებული, რომ აღნიშნულ ბავშვთა სახლში არაა **ელემენტარული** საარსებო პირობებიც კი.

პაციენტს მკურნალობენ **არაორდინარული** მეთოდებით, ისეთით, როგორც აპრობირებულია საზღვარგარეთის წამყვან კლინიკებში.

გვწერენ, რომ მას სასწრაფოდ სჭირდება **სტაციონარული** მომსახურება, რაც, ექსპერტის სიტყვებით, სიმართლეს არ შეესაბამება.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს **ორდინარული** დადგენილებაა და ეჭვს არ იწვევს.

1.1.3 ორმაგი წარმოების შემთხვევები ზედსართავ სახელებში (-ალ + -ურ/-ულ): ფუნდამენტალური/ფუნდამენტური; ტერიტორიალური/ტერიტორიული; პარადოქსალური/პარადოქსული

მცდარი ფორმები:

მკაფიოდაა ხაზგასმული, რომ ეს არის საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის **ფუნდამენტალური** უფლება.

ესაა ორ კომპანიას შორის გამართული **ტერიტორიალური** დავა, რომელში ჩარევაც გამოიწვევს საპირისპირო პროცესებს.

კანონპროექტის განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ მასში შეტანილია კანონის შეუსაბამო, **პარადოქსალური** მუხლები.

განმარტება: არცთუ იშვიათად უცხოური წარმოშობის სახელთაგან ზედსართავების წარმოებისას **-ურ/-ულ** ბოლოსართი დაერთვის არა უშუალოდ არსებითი სახელის ფუძეს, არამედ ისევ უცხოური ბოლოსართით ნაწარმოებ ზედსართავს, რის შედეგადაც ვიღებთ არასწორ ორმაგ წარმოებას – უცხოურსა (**-ალ**) და ქართულს (**-ურ/-ულ**): **ფუნდამენტალური, პარადოქსალური, ტერიტორიალური...**

ცხადია, უცხოური ბოლოსართის გამოყენება არასწორია.

მოყვანილი წინადადებები ასე გასწორდება:

მკაფიოდაა ხაზგასმული, რომ ეს არის საქართველოს ნებისმიერი მოქალაქის **ფუნდამენტური** უფლება.

ესაა ორ კომპანიას შორის გამართული **ტერიტორიული** დავა, რომელში ჩარევაც გამოიწვევს საპირისპირო პროცესებს.

კანონპროექტის განხილვის დროს აღმოჩნდა, რომ მასში შეტანილია კანონის შეუსაბამო, **პარადოქსული** მუხლები.

შენიშვნა: მოყვანილი ფორმების საპირისპიროდ მოკლე სიტყვებში ბუნებრივად მოიკიდა ფეხი ორმაგმა წარმოებამ. თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში ფართოდ გავრცელებული ფორმებია: **თეატრალური, ნორმალური, ზონალური, ცენტრალური...**

1.1.4 ო ხმოვნის წარბად გამოყენება სიტყვებში სამსახურეობრივი/სამსახურებრივი, მომსახურეობა/მომსახურება

მცდარი ფორმები:

სამსახურეობრივი საჭიროების გათვალისწინებით, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია, სამუშაო ადგილად განისაზღვროს სსიპ იუსტიციის სახლის სხვა ტერიტორიული ორგანო.

კანონი ითვალისწინებს *სამსახურეობრივი* მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დასჯის მუხლებსაც.

დასახელებულმა კომპანიამ სათანადო *მომსახურეობა* გაუნია მოქალაქეს.

დასაქმებული ვალდებულია შესაბამისი *მომსახურეობა* გასწიოს.

განმარტება: ო ჩართული ფორმები მცდარია, უნდა ვიხელმძღვანელოთ სიტყვათა შესაბამისი ფუძეებით: **მომსახურება, სამსახური + ებრივ - სამსახურებრივი; მონამე + ებრივ - მონამებრივი; საფეხური + ებრივ - საფეხურებრივი.**

შენიშვნა: გამონაკლისია სიტყვა **საუკუნეობრივი**. ეს მსაზღვრელი კანონზომიერად მიიღება არსებით სახელ **საუკუნე**-ზე **ობრივ** ბოლოსართის დართვით. აქ **ო** ხმოვანი საჭიროა, ოღონდ თავის ადგილას, **ე**-ს შემდეგ (და არა *საუკუნოებრივი*).

შესაბამისად, წინადადებები გასწორდება ასე:

სამსახურებრივი საჭიროების გათვალისწინებით, მხარეთა შეთანხმებით შესაძლებელია, სამუშაო ადგილად განისაზღვროს სსიპ იუსტიციის სახლის სხვა ტერიტორიული ორგანო.

კანონი ითვალისწინებს **სამსახურებრივი** მდგომარეობის ბოროტად გამოყენების დასჯის მუხლებსაც.

დასახელებულმა კომპანიამ სათანადო **მომსახურება** გაუნია მოქალაქეს.

დასაქმებული ვალდებულია შესაბამისი **მომსახურება** გასწიოს.

1.2 რიცხვით სახელთა მართებულად დანერილობის საკითხები

1.2.1 რთულფუძიანი რიცხვითი სახელების მართლწერა: **5 დღიანი/5-დღიანი; 3 ქულიანი/3-ქულიანი; 10 პუნქტიანი/10-პუნქტიანი**

ყველაზე ხშირად შეცდომები დასტურდება მაშინ, როცა რიცხვითი სახელი რთული სიტყვის შემადგენელი ნაწილია.

მცდარი ფორმები:

აღნიშნული **5 დღიანი** ვადის შეზღუდვა არ ვრცელდება შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლების მივლინების შემთხვევაში.

გასაუბრებაზე გამოსულმა ერთმა კანდიდატმა გადალახა სსიპ იუსტიციის სახლის საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილი **3 ქულიანი** ბლვარი.

პროექტის ფარგლებში შემუშავდება **10 პუნქტიანი** გეგმა.

განმარტება: თუ რთული სიტყვის (კომპოზიტის) პირველი ნაწილი არაბული ციფრებით არის წარმოდგენილი, ხოლო მეორე წარმოქმნილი სახელია, მაშინ რიცხვითი სახელი სიტყვას აუცილებლად დეფისით უნდა გამოეყოს: **3-სართულიანი, 5-ეტაპიანი, 10-საფეხურიანი, 100-პროცენტიანი, 7-ქულიანი...**

მაგრამ, თუ გვაქვს რიცხვითი სახელის შემცველი **-იან, -ოვან, -ოსან, -ელ, -ობ** აფიქსებით ნაწარმოები კომპოზიტები, მაშინ ისინი ერთად დაინერება წარმოქმნილ სახელთან ერთად: **სამქულიანი, ხუთდღიანი, ათპუნქტიანი, ასპროცენტიანი, შვიდქულიანი, თერთმეტსართულიანი, სამგუმბათოვანი, ორცილინდრიანი...**

მაშასადამე, წინადადებები გასწორდება შემდეგნაირად:

აღნიშნული **5-დღიანი** ვადის შეზღუდვა არ ვრცელდება შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლების მივლინების შემთხვევაში.

გასაუბრებაზე გამოსულმა ერთმა კანდიდატმა გადალახა სსიპ იუსტიციის სახლის საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილი **3-ქუ-ლიანი** ბღვარი.

პროექტის ფარგლებში შემუშავდება **10-პუნქტიანი** გეგმა.

1.2.2 თანდებულდართული რიცხვითი სახელის მართლწერა: 8-დან/8-იდან; 17-მდე/17-ამდე

მცდარი ფორმები:

არსებული ინფორმაციით, **8-დან** 12 წლამდე მოსწავლეებს გამბადებულ ტექსტს უგზავნიან.

ჯამში **17-მდე** შემთხვევა გვქონდა, რომელთაგან 5 შემთხვევაში შეძლეს დაზიანება.

რეესტრს ყოველდღიურად წარედგინება **1500-დან 2000-მდე** განცხადება.

განმარტება: თანამედროვე ქართული ენის განახლებული ნორმის მიხედვით, დასახელებული ტიპის ფორმებში უნდა შენარჩუნდეს ბრუნვის ნიშანიცა და თანდებულის (როგორც ეს სხვა თანდებულის დართვის შემთხვევებშია). ამიტომ დაინერება ამგვარად: **5-იდან, 27-იდან, 43-იდან... 8-იდან, 9-იდან, 28-იდან, 29-იდან...**

მცდარია გავრცელებული შემდეგი დაწერილობა: **5-მდე, 287-მდე, 26-მდე, 57-მდე... -ამდე** თანდებულისანი ფორმები დაინერება ასე: **5-ამდე, 287-ამდე, 26-ამდე, 57-ამდე...**

რაც შეეხება ხმოვანფუძიან რიცხვით სახელებს, **რვასა და ცხრას** (ან მათ შემცველ სხვა რთულ რიცხვით სახელებს), მათ დაერთვის **-მდე** (და არა -ამდე), რადგან დასახელებულ რიცხვით სახელებში **ა** ფუძისეულია. ამდენად, დაინერება ასე: **8-მდე, 9-მდე, 28-მდე, 29-მდე...**

შესაბამისად, თანამედროვე ნორმის მიხედვით, ზემოთ მოყვანილ წინადადებებში დასახელებული რიცხვითი სახელები ასე გასწორდება:

არსებული ინფორმაციით, **8-იდან** 12 წლამდე მოსწავლეებს გამზადებულ ტექსტს უგზავნიან.

ჯამში **17-ამდე** შემთხვევა გვქონდა, რომელთაგან 5 შემთხვევაში შეძლეს დაზიანება.

რეესტრს ყოველდღიურად წარედგინება **1500-იდან 2000-ამდე** განცხადება.

1.2.3. 1-ლი რიცხვითი სახელის სწორად დანერილობის საკითხი

დადასტურდა პირველი რიცხვითი სახელის ციფრად გამოსახვისას მცდარი ფორმები:

1-ლი მუხლის მიხედვით ჯერ უნდა შეფასდეს არსებული რისკები და შემდეგ განხორციელდეს პროექტი.

ხელშეკრულების **1-ლი** პუნქტის გათვალისწინებით განისაზღვრება დასაქმებულის უფლება-მოვალეობები.

განმარტება: თანამედროვე ქართული ენის განახლებული ნორმის მიხედვით, რიცხვითი სახელის – **პირველი** დანერილობისას უპირატესობა უნდა მიენიჭოს სიტყვიერად ან რომაული ციფრით (**პირველი** ან **I**, **პირველმა** ან **I-მა**) გამოსახვას.

პირველი არაბული ციფრით უნდა გამოისახოს შემდეგნაირად: **1-ელი, 1-ელმა, 1-ელს, 1-ელის...** (**1-ელი** მუხლის მიხედვით, **1-ელ** თავში შევიდეს ცვლილებები, **1-ელის** შესაბამისად...). თვეების პირველი კალენდარული დღის აღნიშვნისას დასაშვებია ტრადიციულად დამკვიდრებული ფორმები: **1 იანვარი, 1 მაისი, 1 სექტემბერი** და სხვ.

შესაბამისად, თანამედროვე ნორმის მიხედვით, ზემოთ მოყვანილ წინადადებებში დასახელებული რიცხვითი სახელები ასე გასწორდება:

1-ელი/ი მუხლის მიხედვით ჯერ უნდა შეფასდეს არსებული რისკები და შემდეგ განხორციელდეს პროექტი.

ხელშეკრულების **1-ელი/ი** პუნქტის გათვალისწინებით განისაზღვრება დასაქმებულის უფლება-მოვალეობები.

ცალკე გამოსაყოფია სიტყვის – **ნახევარი** შემცველი რიცხვითი სახელის მართებულად დანერილობის საკითხი:

დადგენილების ცვლილებამდე **თვენახევრით** ადრე ამ პროექტის წამოწყება მიზანშეწონილი არ არის.

სავალდებულოა დოკუმენტების წარდგენა **კვირანახევრით** ადრე.

განმარტება: ნახევარი სხვა სიტყვებთან ერთად დეფისით იწერება: **ორ-ნახევარი, სამ-ნახევარი, კილო-ნახევარი, კვირა-ნახევარი, მეტრ-ნახევარი...**

შესაბამისად, წინადადებები ასე გასწორდება:

დადგენილების ცვლილებამდე **თვე-ნახევრით** ადრე ამ პროექტის წამოწყება მიზანშეწონილი არ არის.

სავალდებულოა დოკუმენტების წარდგენა **კვირა-ნახევრით** ადრე.

1.3. ზოგი ნაცვალსახელის გამოყენების პრობლემები

1.3.1. პირის ნაცვალსახელთა და მყარი შესიტყვებების ბრუნვაში შეწყობა ცალკე მდგომ თანდებულებთან, კუთვნილებითი ნაცვალსახელის ბრუნვაში შეწყობა სახელთან: ჩვენს მიერ/ჩვენ მიერ; თქვენ განცხადებაში/თქვენს განცხადებაში

მცდარი ფორმები:

ვინაიდან *თქვენს მიერ* გადმოგზავნილ სააღსრულებო ფურცელში მითითებული მოვალეების მისამართი უცხო ქვეყნის ტერიტორიაზეა, გადმოგზავნილ დოკუმენტაციას გიბრუნებთ შეუსრულებელი სახით.

ოქმი შედგენილია *ჩემს მიერ*, ნაკითხულია ხმამაღლა, სწორია და ვადასტურებ ხელის მონერით.

გთხოვთ, მოგვანოდოთ ინფორმაცია ზემოაღნიშნული აქტისა და *თქვენ არქივში* დაცული დოკუმენტაციის შესაბამისობის შესახებ.

ჩვენ განცხადებაში მითითებული იყო შესაბამისი ვადები.

განმარტება: როცა I და II პირის ნაცვალსახელებს ახლავს ცალკე მდგომი თანდებულები (მიერ, გამო, შორის, მიმართ, შუა, გარდა, მაგიერ, წინათ, წინაშე, შემდეგ, ირგვლივ, გარშემო...), მაშინ ისინი ბრუნვის ნიშნის გარეშე უნდა გამოიყენებოდეს: **ჩემ გამო, შენ მიერ, ჩვენ მიმართ, თქვენ გარეშე, ჩემ წინაშე, ჩვენ შორის, თქვენ შუა, შენ შემდეგ, ჩემ ირგვლივ, შენ გარშემო...**

როცა კუთვნილებით ნაცვალსახელს (ჩემი, შენი, ჩვენი, თქვენი, მისი, მათი) ახლავს სიტყვა (არსებითი სახელი), მიცემითსა და ვითარებით ბრუნვებში ის დაირთავს ბრუნვის ნიშანს: **ჩემს დოკუმენტს, შენს პარტნიორს, ჩვენს მიწის ნაკვეთს, თქვენს კანონპროექტს, თქვენს არქივში, ჩვენს განცხადებაში, მათს ეზოს, ჩემს მეგობრად, შენს ძმად მიგულე...**

შესაბამისად, წინადადებები გასწორდება შემდეგნაირად:

ვინაიდან **თქვენ მიერ** გადმოგზავნილ სააღსრულებო ფურცელში მითითებული მოვალეების მისამართი უცხო ქვეყნის ტერიტორიაზეა, გადმოგზავნილ დოკუმენტაციას გიბრუნებთ შეუსრულებელი სახით.

ოქმი შედგენილია **ჩემ მიერ**, წაკითხულია ხმამაღლა, სწორია და ვადასტურებ ხელის მოწერით.

გთხოვთ, მოგვანოდოთ ინფორმაცია ზემოაღნიშნული აქტისა და **თქვენს არქივში** დაცული დოკუმენტაციის შესაბამისობის შესახებ.

ჩვენს განცხადებაში მითითებული იყო შესაბამისი ვადები.

!!! ერთი სახის შესიტყვებების დანერილობა: ერთის მხრივ/ერთი მხრივ, მეორეს მხრივ/მეორე მხრივ

მცდარი ფორმები:

ერთის მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომში – ბიურო) და, *მეორეს მხრივ*, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1⁵ პუნქტის საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულებით თანხმდებიან შემდეგზე...

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, *ერთის მხრივ*, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და, *მეორეს მხრივ*, „მომწოდებელი“ ვალდებულებას ვიღებთ შევასრულოთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

განმარტება: გასათვალისწინებელია ზოგი ცალკე მდგომი თანდებულის ბრუნვაში შეწყობის საკითხი ერთგვარ მყარ შესიტყვებებში: **ჩემი მხრივ/შენი მხრივ, ერთი მხრივ, მეორე მხრივ...** ამგვარ სიტყვათშეხამებებში არ იწერება ბრუნვის ნიშანი.

შესაბამისად, წარმოდგენილი წინადადებები ასე გასწორდება:

ერთი მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომში – ბიურო) და, **მეორე მხრივ**, სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო) „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1⁵ პუნქტის საფუძველზე წინამდებარე ხელშეკრულებით თანხმდებიან შემდეგზე...

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, **ერთი მხრივ**, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და, **მეორე მხრივ**, „მომწოდებელი“ ვალდებულებას ვიღებთ შევასრულოთ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები.

1.3.2. იგივე/ერთი და იგივე ნაცვალსახელის არასწორად გამოყენების შემთხვევები

მცდარი ფორმები:

ზუსტად **იგივე** მეთოდებს იყენებს, რა მეთოდებსაც უჩიოდა და აპროტესტებდა ყველა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

მათ პოსტერები **იგივე** ადგილზე ხელახლა გააკრეს.

გავრცელდეს მუნიციპალიტეტებში სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში წარმოშობილ **იგივე** პრობლემებზე.

განმარტება: ნაცვალსახელი **იგივე** მსაზღვრელად გამოყენებისას ყველა ბრუნვაში (სახელობითის გარდა) ფუძეს იცვლის და მართებული ფორმა იქნება – **იმავე: იმავე პირმა, იმავე შენობას, იმავე დოკუმენტის, იმავე საკითხით, იმავე მეთოდებს, იმავე ადგილზე, იმავე პრობლემებზე...**

P. S. ანალოგიურად ინარმოებს ნაცვალსახელი **ერთი და იგივე: ერთმა და იმავე პირმა, ერთსა და იმავე დოკუმენტს, ერთი(სა) და იმავე დოკუმენტის, ერთი(სა) და იმავე საკითხით...**

შესაბამისად, წინადადებები ამგვარად გასწორდება:

ზუსტად **იმავე** მეთოდებს იყენებს, რა მეთოდებსაც უჩიოდა და აპროტესტებდა ყველა ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე.

მათ პოსტერები **იმავე** ადგილზე ხელახლა გააკრეს.

გავრცელდეს მუნიციპალიტეტებში სპორადული რეგისტრაციის ფარგლებში წარმოშობილ **იმავე** პრობლემაზე.

1.4. რთული სიტყვების დაწერილობის საკითხი

1.4.1 უცხო სიტყვით მიღებული რთული სიტყვების მართლწერა: სერვის ცენტრი/სერვისცენტრი; ვებ-გვერდი/ვებგვერდი

ოფიციალურ დოკუმენტებში ხშირად გამოიყენება რთული სიტყვები (კომპოზიტები), რომელთა დაწერილობა ხშირად არამართებულია.

მცდარი ფორმები:

5 დღის ვადაში გადაეცეს ინფორმაცია შესაბამის *სერვის ცენტრს*.

სენსორული მონიტორებისა და ოფიციალური *ვებ გვერდის* საშუალებით, მომხმარებლებს მიეცემათ შესაძლებლობა გამოთქვან თავიანთი შეფასებები.

მათ უნდა ჰქონდეთ შესაბამისი *კოვიდ ბარათი*.

დაევალოს: ინფორმაციის შეგროვება *ონლაინ სივრცეში*, საგამოძიებო მეთოდების გამოყენება, საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან თანამშრომლობა.

თანამემამულის მონუმობის გაცემაზე ხარვეზის დადგენის ან უარის თქმის შესახებ გადანაცვებილება გამოქვეყნდება სააგენტოს *ინტერნეტ გვერდზე*.

განმარტება: როცა რთული სიტყვის პირველი ნაწილი უცხოური ენიდან შემოსული ერთეულია (არსებითი სახელის სრული ან შეკვეცილი ფუძე), სიტყვა დაინერება ერთად, დეფისის გარეშე, თუ მის შემადგენელ ნაწილებს შორის აზრობრივად არ ჩაისმის **და** კავშირი.

შესაბამისად, სწორი ფორმებია:

- სერვისცენტრი, სერვისადმინისტრატორი;
- პრემიერლიგა, პრემიერკლასი;
- პრესცენტრი, პრესსპიკერი, პრესკონფერენცია;
- ტრენინგკურსი, ტრენინგცენტრი;
- ბონუსქულა, ბონუსბარათი;
- ვეტექიმი, ვეტმომსახურება;
- ბიზნესფორუმი, ბიზნესიდეა, ბიზნესშეხვედრა;
- კინოგახმოვანება;
- მედიაკომპანია, მედიამაუწყებლობა, მედიამენეჯერი;
- ტელეგადაცემა, ტელეკომპანია, ტელენამყვანი;
- რადიოგადაცემა, რადიოკომპანია, რადიომაუწყებელი;
- ვიდეომასალა, ვიდეოკოლაჟი, ვიდეოგადაღება;
- აუდიომონყობილობა, აუდიოჩანაწერი, აუდიონიგნი;
- ფოტოსესია, ფოტოგადაღება, ფოტოპირი;
- ავტოგაქირავება, ავტოსესხი, ავტომომსახურება;
- ინტერნეტგვერდი, ინტერნეტპორტალი;
- ონლაინსივრცე, ონლაინიერიში;
- ელექტროალტერნატივა, ელექტრომონყობილობა, ელექტროგაყვანილობა;
- კიბერდანამაული, კიბერთავდასხმა, კიბერუსაფრთხოება, კიბერშეტევა.

1.4.2 ზოგი სახის სამკომპონენტო რთული სიტყვების მართლწერა: აუდიო და ვიდეო ჩანაწერი/აუდიო- და ვიდეოჩანაწერი

მცდარი ფორმები:

ის იძლევა საშუალებას, ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა იხილოს ჩანერილი *ვიდეო და აუდიო მასალა*.

აღნიშნულ *ტელე და რადიო-სიუჟეტში* გაშუქებული ამბავი არ შეესაბამება სინამდვილეს.

განმარტება: დასახელებული სახის კომპოზიტები სამშემადგენ-ლიანია, ბოლო კომპონენტი (მასალა, სიუჟეტი...) მიეკუთვნება არა მხოლოდ მის წინა სიტყვას, არამედ პირველსაც. ამიტომ პირველი ნაწილი დეფისით გამოიყოფა, ხოლო გამაერთიანებელი სიტყვა ბოლო კომპონენტთან შერწყმულად დაინერება: **აუდიო- და ვიდეოჩანაწერი, აუდიო- და ვიდეომასალა; ტელე- და რადიო- გადაცემა, ტელე- და რადიოსიუჟეტი, ტელე- და რადიონამყვანი, ტელე- და რადიოჟურნალისტიკა, ტელე- და კინოფილმები; ელექტრო- და თბოგამტარობა...**

შესაბამისად, წინადადებები ასე გასწორდება:

ის იძლევა საშუალებას, ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა იხილოს ჩანერილი **ვიდეო- და აუდიომასალა**.

აღნიშნულ **ტელე- და რადიოსიუჟეტში** გაშუქებული ამბავი არ შეესაბამება სინამდვილეს.

შენიშვნა: თუ ამ სახის რთულ სიტყვებში და კავშირს არ გამოვიყენებთ, მაშინ მთლიანი სიტყვა ერთად დაინერება: **აუდიოვიდეონანერი, აუდიოვიდეომასალა, ტელერადიოჟურნალისტიკა, ტელეკინოფილმები, ტელერადიოგადაცემა, ტელერადიოსიუჟეტი, ტელერადიონამყვანი, ელექტროთბოგამტარი...**

1.4.3 ერთცნებიანი რთული სიტყვების მართლწერა: ვინ-რო პარტიული/ვინროპარტიული; ვინრო უწყებრივი/ვინროუნწყებრივი; ახალ შექმნილი/ახალშექმნილი

მცდარი ფორმები:

დებინფორმაცია განპირობებული იყო *ვინრო პარტიული* ინტერესებით.

არ უნდა იმოქმედოთ *ვინრო პარტიული* შეხედულებითა და გეგმებით.

ესაა *ვინრო უწყებრივი* გადანწყვეტილებები.

ამ შემთხვევაში საჭიროა *ახალ შექმნილი* კანონპროექტით ვიხელმძღვანელოთ.

განმარტება: დასახელებული სიტყვები ერთცნებიანია, მათ შორის არ ჩაისმის და კავშირი, შესაბამისად, თანამედროვე ქართული ენის ნორმების მიხედვით, ისინი ერთად უნდა დაიწეროს: **ვინროპარტიული, ვინროუნწყებრივი, ახალშექმნილი, ახალდადგენილი, ახალგახსნილი, ახალდასახლებული...**

შესაბამისად, წინადადებები ასე გასწორდება:

დებინფორმაცია განპირობებული იყო **ვინროპარტიული** ინტერესებით.

არ უნდა იმოქმედოთ **ვინროპარტიული** შეხედულებითა და გეგმებით.

ესაა **ვინროუნყებრივი** გადაწყვეტილებები.

ამ შემთხვევაში საჭიროა **ახალშექმნილი** კანონპროექტით ვიხელმძღვანელოთ.

!!! ტერმინი **ფორსმაჟორი/ფორსმაჟორული** ასევე რთული შედგენილობის სიტყვაა, რომელსაც ხშირად ვხვდებით უმართებულო დანერვილობით:

ფორს-მაჟორული გარემოებების წარმოშობისას მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შესრულების შეუძლებლობად (**ფორს-მაჟორი**) მიიჩნევა მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაულახავი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები.

მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება **ფორს-მაჟორული** გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

განმარტება: ფორსმაჟორი რთული შედგენილობის სიტყვაა და ის ერთად იწერება (ერთმნიშვნელობიანია). ასევე დაიწერება მისგან **-ულ** მანარმოებლით მიღებული თხზული სიტყვა **ფორსმაჟორული**.

ნარმოდგენილი წინადადებები ასე გასწორდება:

ფორსმაჟორული გარემოებების წარმოშობისას მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის შესრულების შეუძლებლობად (**ფორსმაჟორი**) მიიჩნევა მხარეებისათვის წინასწარ უცნობი, გადაუღებელი და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელი გარემოებები.

მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება **ფორსმაჟორული** გარემოებების აღმოფხვრისთანავე.

1.4.4. არც ერთი/არცერთი, ვერც ერთი/ვერცერთი, ნურც ერთი/ნურცერთი სიტყვების დანერილობის საკითხი

მცდარი ფორმები:

ხელშეკრულების *არც-ერთ* მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

ამისათვის შეიქმნა *არა ერთი* სახის დოკუმენტი.

გამოვლინდა მიღებული კანონის დარღვევის *არა ერთი* შემთხვევა.

ასეთი მსჯელობა გაუგებარია, კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობა *არც ერთ* შემთხვევაში არ იცნობს იმ კონკრეტული მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას, რომელსაც განმცხადებელი ითხოვს.

განმარტება: თუ *არც ერთს* მოსდევს *არც მეორე/მესამე...*, მაშინ ის დაინერება ცალ-ცალკე: *არც ერთი* იყო მზად და *არც მეორე; არც ერთს* მიუღია მონაწილეობა და *არც მეორეს...* ყველა სხვა შემთხვევაში *არცერთი* დაინერება ერთად: *არცერთ* მხარეს არ აქვს უფლება; *არცერთი* სახის დოკუმენტი; კანონის დარღვევის *არცერთი* შემთხვევა არ გამოვლენილა...

ანალოგიურად იქნება *ვერც ერთი/ვერცერთი, ნურც ერთი/ნურცერთი* სიტყვების შემთხვევაშიც: თუ *ვერც ერთს* მოსდევს *ვერც მეორე/მესამე...*, მაშინ *ვერც ერთი* დაინერება ცალ-ცალკე: *ვერც ერთს* ენდობა კაცი და *ვერც მეორეს; ვერც ერთმა* გაბედა და *ვერც მეორემ* და მისთ. ყველა სხვა შემთხვევაში *ვერცერთი* დაინერება ერთად: *ვერცერთი* პირობა ვერ შესრულდა; *ვერცერთმა* მსურველმა ვერ მიიღო უმაღლესი ქულა...

ასევე: თუ **ნურც ერთს** მოსდევს **მეორე/მესამე...**, მაშინ ის დაინერება ცალ-ცალკე: **ნურც ერთს** გააგებინებთ ამას და **ნურც მეორეს** და მისთ. ყველა სხვა შემთხვევაში ის ერთად დაინერება: **ნურცერთი** თქვენგანი ნუ გაიმეორებს ამას.

შესაბამისად, წინადადებები ასე გასწორდება:

ხელშეკრულების **არცერთ** მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

ამისათვის შეიქმნა **არაერთი** სახის დოკუმენტი.

გამოვლინდა მიღებული კანონის დარღვევის **არაერთი** შემთხვევა.

ასეთი მსჯელობა გაუგებარია, კერძოდ, მოქმედი კანონმდებლობა **არცერთ** შემთხვევაში არ იცნობს იმ კონკრეტული მოქმედების განხორციელების შესაძლებლობას, რომელსაც განმცხადებელი ითხოვს.

1.5 თანდებულიან სახელთა მართლწერის დარღვევის ზოგი საკითხი

1.5.1 და კავშირით შეერთებულ სახელებთან დართული ერთი და იმავე თანდებულის მართლწერა: გზებზე და ხიდებზე/გზებსა და ხიდებზე; ქუჩებში და ბალებში/ქუჩებსა და ბალებში

მცდარი ფორმები:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის *სისრულეზე და რეალობაზე* პასუხისმგებელია 7.5 პუნქტში მითითებული პირი.

კანონის შესაბამისად უნდა აღირიცხოს *გზებზე და ხიდებზე* გამიზნული თანხის ზუსტი ოდენობა.

საჭიროა *ხელსაბანებზე და უნიტაზებზე* სიფონის და გოფირებული მილების შეცვლა.

გასათვალისწინებელია ქალაქის ძველ უბნებში მდებარე *სახლებში და სხვა შენობებში* ლიფტების გამოცვლის პროექტის ხარჯ-თაღრიცხვაც.

ჩვენს ხელთ არსებულ *დოკუმენტებში და გამოგზავნილ უწყებებში* მითითებულია ამ ტიპის საჩივრების შესახებ.

ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში *თანამშრომელთან ან მოქალაქესთან* დაკავშირებული უფლებების დარღვევაზე რეაგირება შინაგანაწესითაა გათვალისწინებული.

განმარტება: როდესაც **და ან თუ** კავშირითაა შეერთებული მიცემით ანდა ნათესაობით ბრუნვაში წარმოდგენილი ორი სახელი, რომელთაგან ორივე ერთი და იმავე თანდებულს დაირთავს, მაშინ პირველი სიტყვა აუცილებლად თანდებულის გარეშე, მხოლოდ სავრცობიანი (ა) ბრუნვის ნიშნით უნდა გამოიყენებოდეს: **სისრულესა და რეალობაზე, გზებსა და ხიდებზე, ქუჩებსა და ბალებში, სახლებსა და სხვა შენობებში, თვითმფრინავებსა და ვერტმფრენებში, ტე-**

ლევინიასა და რადიოში, დიდსა და პატარასთან, ქვასა და კლდე-სავით...

შესაბამისად, წინადადებები ასე გასწორდება:

წარმოდგენილი დოკუმენტაციის **სისრულესა და რეალობაზე** პასუხისმგებელია 7.5 პუნქტში მითითებული პირი.

კანონის შესაბამისად უნდა აღირიცხოს **გმებსა და ხიდებზე** გამიზნული თანხის ზუსტი ოდენობა.

საჭიროა **ხელსაბანებსა და უნიტაზებზე** სიფონის და გოფრი-რებული მილების შეცვლა.

გასათვალისწინებელია ქალაქის ძველ უბნებში მდებარე **სახ-ლებსა და სხვა შენობებში** ლიფტების გამოცვლის პროექტის ხარჯთ-აღრიცხვაც.

ჩვენს ხელთ არსებულ **დოკუმენტებსა და გამოგზავნილ უწყე-ბებში** მითითებულია ამ ტიპის საჩივრების შესახებ.

ნებისმიერ სახელმწიფო დაწესებულებაში **თანამშრომელსა ან მოქალაქესთან** დაკავშირებული უფლებების დარღვევაზე რეა-გირება შინაგანანუსითაა გათვალისწინებული.

1.6 ზმნათა მართლწერის ზოგი საკითხი

1.6.1 პირის ნიშნების მართლწერის დარღვევის შემთხვევები: შეთავაზებს/შესთავაზებს; შეპირდა/შეპირდა; წარსდგა/წარდგა

მცდარი ფორმები:

დავალიანების გამო შეწყდა ჭაბურღილისთვის ელექტროენერგის მიწოდება, რასაც **მოყვა** მოსახლეობის უწყლოდ დატოვება.

კანდიდატები **პირდებოდნენ** მოქალაქეებს, რომ მათ პრობლემებს სწრაფად და ეფექტიანად მოაგვარებდნენ.

ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობით უშუალოდ (ინდივიდუალურად) უნდა ზიანდებოდეს მოსარჩელის კანონიერი უფლება ან ინტერესი. ნორმის ანალიზი **ცხადყოფს**, რომ ასეთი სარჩელების განხილვისას სასამართლომ პირველ რიგში უნდა შეამოწმოს, გააჩნია თუ არა კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანოს მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ქმედების განხორციელების უფლებამოსილება.

ასეთი ვალდებულების მქონე პირები უნდა **წარსდგნენ** შესაბამისი დეკლარაციით.

ეს დოკუმენტი ძალიან **გავს** საკონსტრუქციო სასამართლოში უკვე წარდგენილ საქმეს.

კომპანიამ გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ **შეთავაზა** ნოტარიუსს ამ საქმის შესრულება.

ჩანაწერის მიხედვით, ბრალდებულმა პირმა განაცხადა, რომ მოქალაქე ნ.დ.-ს **მოპარავს** თავისი ოჯახის კუთვნილ თანხას.

თითოეულ მხარეს უფლება აქვს *მოთხოვოს* მეორე მხარეს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით გამონვეული ქონებრივი და არაქონებრივი (საქმიანი რეპუტაციის შელახვით გამონვეული) ზიანის ანაზღაურება.

განმარტება: **ჰ** და **ს** პირის ნიშნები ზმნაში საჭიროა მხოლოდ მაშინ, როცა მას მესამე ირიბი ობიექტური პირი შეეწყობა: **შესთავაზებს** (ის მას მას), **შესწირავს** (ის მას მას), **მისცემს** (ის მას მას), **მოჰკრავს** (ის მას მას), **გაჰყინვია** (ის მას), **გაჰკარებია** (ის მას)...

შენიშვნა: ირიბია ობიექტი, თუ ის ყველა მწკრივში ბრუნვას არ იცვლის და სულ მიცემით ბრუნვაში დგას. ხოლო თუ ბრუნვის ფორმა შეიცვალა წყვეტილის მწკრივში (კითხვა **რა ქნა?**) და სახელი სახელობით ბრუნვაში დადგა, მაშინ არ სჭირდება **ჰ** ან **ს** პირის ნიშანი.

შესაბამისად, ზემოთ წარმოდგენილ მაგალითებში ზმნათა სწორი ფორმები იქნება:

დავალიანების გამო შეწყდა ჭაბურღილისთვის ელექტროენერგიის მიწოდება, რასაც **მოპყვა (ის მას)** მოსახლეობის უწყლოდ დატოვება.

კანდიდატები **პპირდებოდნენ (ისინი მათ მას)** მოქალაქეებს, რომ მათ პრობლემებს სწრაფად და ეფექტიანად მოაგვარებდნენ.

ადმინისტრაციული ორგანოს უმოქმედობით უშუალოდ (ინდივიდუალურად) უნდა ზიანდებოდეს მოსარჩელის კანონიერი უფლება ან ინტერესი. ნორმის ანალიზი **ცხადყოფს (ცხადყო მან ის)**, რომ ასეთი სარჩელების განხილვისას სასამართლომ პირველ რიგში უნდა შეამოწმოს, გააჩნია თუ არა კონკრეტულ ადმინისტრაციულ ორგანოს მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი ქმედების განხორციელების უფლებამოსილება.

ასეთი ვალდებულების მქონე პირები უნდა **წარდგნენ (ისინი)** შესაბამისი დეკლარაციით.

ეს დოკუმენტი ძალიან **პგავს (ის მას)** საკონსტრუქციო სასამართლოში უკვე წარდგენილ საქმეს.

კომპანიამ გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ **შესთავაზა (მან მას ის)** ნოტარიუსს ამ საქმის შესრულება.

ჩანაწერის მიხედვით, ბრალდებულმა პირმა განაცხადა, რომ მოქალაქე ნ.დ.-ს **მოპპარავს (ის მას მას)** თავისი ოჯახის კუთვნილ თანხას.

თემა I. ორთოგრაფია-მორფოლოგიის საკითხები

თითოეულ მხარეს უფლება აქვს **მოსთხოვოს (მან მას ის)** მეორე მხარეს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული ქონებრივი და არაქონებრივი (საქმიანი რეპუტაციის შელახვით გამოწვეული) ზიანის ანაზღაურება.

**1.6.2 ზმნისწინთა მართლწერის პრობლემები:
ანსახიერებს/ასახიერებს; ანსხვავებს/ასხვავებს**

მცდარი ფორმები:

საქართველოს ცივილიზებული საზოგადოება უფლებრივად არ **ანსხვავებს** ადამიანებს რასის, ეროვნებისა და კონფესიის მიხედვით.

უნწყება სწავლობს და ზედმიწევნით **ანზოგადებს** მომხდარ კერძო ფაქტებს.

...სასწავლო ცენტრი პირველად **ანხორციელებს** ასეთ მასშტაბურ პროექტს.

განმარტება: დაუშვებელია ზმნისწინის გათიშვა. თუ ზმნას რომელიმე ძველი ზმნისწინი უდასტურდება (**აღ, გან, წარ**), პირიან ფორმებში, პირისა და ქცევის ნიშნების წინ, ეს ზმნისწინი ან სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი, ანდა – მთლიანად ჩამოცილებული:

- აღვნიშნე, აღვრიცხე, აღვწუსე, აღვწერე;**
- აღუნერია, აღურიცხავს, აღუფრთოვანებია;**
- განვახორციელებ, ვახორციელებ;**
- განვასახიერებ, ვასახიერებ;**
- განვაავითარებ, ვავითარებ;**
- განვაცვიფრებ, ვაცვიფრებ;**
- განვაზოგადებ, ვაზოგადებ;**
- ვათავისუფლებ;**
- განვაახლებ, ვაახლებ;**
- განვაცხადებ, ვაცხადებ;**
- განვაცალკევებ, ვაცალკევებ;**
- განვამტკიცებ, ვამტკიცებ;**
- განვაზავებ, ვაზავებ;**

განვარისხებ, ვარისხებ;

განუცალკევებია, გაუცალკევებია;

განუხორციელებია, გაუხორციელებია;

გაუთავისუფლებია...

შესაბამისად, წინადადებები ასე გასწორდება:

საქართველოს ცივილიზებული საზოგადოება უფლებრივად არ **ასხვავებს** ადამიანებს რასის, ეროვნებისა და კონფესიის მიხედვით.

უნყება სწავლობს და ზედმინევნიტ **ამოგადებს** მომხდარ კერძო ფაქტებს.

...სასწავლო ცენტრი პირველად **ახორციელებს** ასეთ მასშტაბურ პროექტს.

შენიშვნა: ზმნისწინისეული თანხმომავანი ფუძესთან შერწყმულად უნდა დარჩეს **აღიარებს და აღორძინებს** ზმნებში: **ვაღიარებ, მაღიარებს, გაღიარებს, მიღიარებია, გიღიარებია, უღიარებია...; ვაღორძინებ, ავაღორძინებ, ამაღორძინებს, აგაღორძინებს, ააღორძინებს...**

პირის ნიშანი ფუძისეულადაა ქცეული ზმნაში **სჩადის** (რაიმეს ჩადენის მნიშვნელობით: **დანაშაულს, ცოდვას... სჩადის**).

დასახელებული ზმნები, ტრადიციისამებრ, ერთადერთ მართებულ ფორმებად მიიჩნევა თანამედროვე სალიტერატურო ქართულში.

1.6.3 რიცხვში მონაცვლე ზმნათა მართლწერის პრობლემები: შევარდნენ/შეცვიდნენ; გატეხეს/დაამტვრიეს; მოკლა/დახოცა

მცდარი ფორმები:

მას გვიან ღამით სახლში *შეუვარდნენ* და დააყაჩაღეს.

აღნიშნულია, რომ მოქალაქემ ნამდვილად *გატეხა* გარე სარეკლამო ბანერის შუშები, რაც ისჯება კანონმდებლობით.

ამ ეპიზოდში გამოიკვეთა, რომ ეჭვმიტანილმა პირმა *მოკლა* რამდენიმე მგზავრი.

განმარტება: რიცხვში მონაცვლე ზმნების სწორად დაწერილობის თავისებურება გახლავთ ის, რომ სხვა ზმნათა მსგავსად მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ნიშანს კი არ ირთავენ, არამედ იცვლიან ფუძეს:

მხოლოდობითი რიცხვი

ზის (ის)
ჩავარდა (ის)
კლავს (მას)
ტეხს (მას)
აიღებს (მას)
გღია (ის)
დასვამს (მას)
მოიბამს (მას)

მრავლობითი რიცხვი

სხედან (ისინი)
ჩაცვიდნენ (ისინი)
ხოცავს (მათ)
დაამტვრია (ისინი)
აკრეფს (მათ)
ყრია (ისინი)
დასხა (ისინი)
მოისხამს (მათ)

შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი წინადადებები ამგვარად გასწორდება:

მას გვიან ღამით სახლში **შეუცვივდნენ** და დააყაჩაღეს.

აღნიშნულია, რომ მოქალაქემ ნამდვილად **დაამტვრია** გარე სარეკლამო ბანერის შუშები, რაც ისჯება კანონმდებლობით.

ამ ეპიზოდში გამოიკვეთა, რომ ეჭვმიტანილმა პირმა **დახოცა** რამდენიმე მგზავრი.

1.6.4 შედგენილი შემასმენლისა და ე.წ. აღწერილობითი ვნებითის მართლწერის დარღვევის საკითხები: დადგენილი იქნა/დადგენილ იქნა; არჩეული იქნა/არჩეულ იქნა

ოფიციალური ტექსტების სპეციფიკა ისაა, რომ გარკვეული შესრულებული თუ შესასრულებელი მოქმედება მაქსიმალურად განყენებულად არის გამოხატული, კერძოდ, ზმნათა განზოგადებული მესამე პირისა და ე.წ. აღწერილობითი ვნებითის საშუალებით.

ასეთი კონსტრუქციისას გვხვდება მცდარი ფორმები:

შესრულებული იქნა ხელშეკრულების დანართი N1-ითა და დანართი N2-ით გათვალისწინებული ვალდებულებები.

მსჯავრდებული ჯ. ჩაჩიბაია *უზრუნველყოფილი იქნა* რეკომენდებული სათვალით.

გადანყვეტილება *მიღებული იქნა* ისე, რომ არ იქნა გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

განმარტება: ამგვარი აგებულებისას გასათვალისწინებელია, რომ წინ მდგომი სიტყვა (მიმღეობა) ფუძის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი: **დადგენილ იქნა, არჩეულ იქნა, დაშვებულ იქნა, შემუშავებულ იქნა, მიღებულ იქნა, მიწვეულ იქნა...** თუმცა შებრუნებული წყობისას ის დაირთავს ბრუნვის ნიშანს: **იქნა არჩეული, იქნა დაშვებული, იქნა შემუშავებული, იქნა მიღებული, იქნა მიწვეული...**

გარდა ზემოთქმულისა, ფრაზის ამგვარი აგებისას ერთი ფაქტორია გასათვალისწინებელი: მართებულია **იქნეს** ფორმა (და არა **იქნას: შემუშავებულ იქნას, დამტკიცებულ იქნას...**)

შესაბამისად, წინადადებები ასე გასწორდება:

შესრულებულ იქნა ხელშეკრულების დანართითა N1-ითა და დანართი N2-ით გათვალისწინებული ვალდებულებები.

მსჯავრდებული ჯ. ჩაჩიბაია **უმრუნველყოფილ იქნა** რეკომენდებული სათვალთ.

გადანყვეტილება **მიღებულ იქნა** ისე, რომ არ იქნა გამოკვლეული საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები.

შენიშვნა: დასახელებული სახის აღწერილობითი ფორმები დღევანდელ ოფიციალურ-საქმიან სფეროში მეტად გავრცელებულია. ამის მიზეზი ისაა, რომ თითქოს ამგვარი წარმოებით სათქმელი უფრო მეტად იძენს ოფიციალურ ელფერს. ცხადია, ასეთი აღწერილობითი ფორმები ქართულისთვის არაბუნებრივია და თავი უნდა ავარიდოთ იქ, სადაც შესაძლებელია ბუნებრივი ვარიანტების გამოყენება:

განადგურებულ იქნა – გაანადგურა/გაანადგურეს, დამტვრეულ იქნა – დაამტვრია/დაამტვრიეს, აღებულ იქნა – აიღო/აიღეს, მიწოდებულ იქნა – მიანოდა/მიანოდეს, შესრულებულ იქნა – შეასრულა/შეასრულეს, შესყიდულ იქნა – შეისყიდა/შეისყიდეს...

1.6.5 შედგენილი შემასმენლისა თუ აღწერილობითი ვნებითის შესაბამისი ობიექტთან რიცხვში შეწყობის მართლწერა: უზრუნველყოფილნი არიან/უზრუნველყოფილი არიან; უფლებამოსილნი არიან/უფლებამოსილი არიან; წარმოდგენილნი არიან/წარმოდგენილი არიან

მცდარი ფორმები:

ცნობილია, რომ ისინი *უზრუნველყოფილნი არიან* შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და სხვა საჭირო პირობებით.

ღირექტორები შრომითი ხელშეკრულებების ვადის ამოწურვასთან დაკავშირებით *ინფორმირებულნი არიან*.

სხვა ძალოვანი სტრუქტურებიც ამაში *არიან ჩართულები*.

ხელშეკრულება ითვალისწინებს იმასაც, რომ თანამშრომლები *უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ* სათანადო სამუშაო გარემოთი.

იუსტიციის სახლში დასაქმებულ თანამშრომელთა უშუალო ხელმძღვანელები *პასუხისმგებელნი არიან* ფილიალის/სამსახურის/ცენტრის დატვირთულობის ანალიზის საფუძველზე დაქვემდებარებული თანამშრომლების შვებულების განრიგის შედგენასა და შესრულების კონტროლზე.

მხარეები *არ არიან პასუხისმგებელნი* თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე.

ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები *უფლებამოსილნი არიან* გადახედონ ხელშეკრულების პირობებს.

მხარეები *ვალდებულნი არიან* ითანამშრომლონ ერთმანეთთან (კონსულტაციის განევით, ურთიერთდახმარებით და სხვა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

განმარტება: თუ ამგვარი ფორმა (შედგენილი შემასმენელი თუ აღწერითი ვნებითი) შესაბამისი ობიექტის სიმრავლეს გულისხმობს, მაშინ მრავლობითობა აისახება მეშველ ზმნაში და არა მიმღებობაში (სულერთია, **ებ**-იანი თუ **ნარ**-იანი მრავლობითითაა წარმოდგენილი ის თუ არა): **უზრუნველყოფილი არიან, განადგურებული არიან, ინფორმირებული არიან...**

შესაბამისად, წინადადებები ასე გასწორდება:

ცნობილია, რომ ისინი **უზრუნველყოფილი არიან** შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და სხვა საჭირო პირობებით.

ღირექტორები შრომითი ხელშეკრულებების ვადის ამონურვასთან დაკავშირებით **ინფორმირებული არიან**.

სხვა ძალოვანი სტრუქტურებიც ამაში **არიან ჩართული**.

ხელშეკრულება ითვალისწინებს იმასაც, რომ თანამშრომლები **უზრუნველყოფილი უნდა იყვნენ** სათანადო სამუშაო გარემოთი.

იუსტიციის სახლში დასაქმებულ თანამშრომელთა უშუალო ხელმძღვანელები **პასუხისმგებელი არიან** ფილიალის/სამსახურის/ცენტრის დატვირთულობის ანალიზის საფუძველზე დაქვემდებარებული თანამშრომლების შვებულების განრიგის შედგენასა და შესრულების კონტროლზე.

მხარეები **არ არიან პასუხისმგებელი** თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე.

ხელშეკრულების 13.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვის შემთხვევაში მხარეები **უფლებამოსილი არიან** გადახედონ ხელშეკრულების პირობებს.

მხარეები **ვალდებული არიან** ითანამშრომლონ ერთმანეთთან (კონსულტაციის განვით, ურთიერთდახმარებით და სხვა) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და მომსახურების გაუმჯობესების მიზნით.

1.6.6 ვ ბგერის ჩართვა-დაკარგვის პრობლემები: ერთვო-და/ერთოდა; გაუმართავობა/გაუმართაობა

მცდარი ფორმები:

ადმინისტრაციულ საჩივარს თან **ერთვოდა** შემდეგი დოკუმენტების ასლები...

გენერატორის **გაუმართავობის** შემთხვევაში საჭიროა კომპიუტერული დიაგნოსტიკა.

...მიზანშეწონილია **გაუმართავობის** შემთხვევაში კომპიუტერული დიაგნოსტიკა და გამოვლენილი უნესრიგობების აღმოფხვრა.

განმარტება: ქართულ ენაში **ვ** ბგერას ჩართვა/დაკარგვა ახასიათებს გარკვეული ფუძეებისა და ბოლოსართების სამღვარზე. **ვ** ბგერის დაკარგვას, უპირველეს ყოვლისა, იწვევს მის მომდევნოდ მოხვედრილი ბაგისმიერი **ო** და **უ** ხმოვნები (**-ობა, -ურ, -ოდ** და ბოლოებების წინ): **გამბედაობა, ბუნებრიობა, ფშაური, აქტიური, ყიოდა, ჩიოდა, სწვეოდა, დაჰკარგოდა, ერთოდა, ნაძალადეობა ...**

წორმის მიხედვით, წარმოდგენილი წინადადებები ასე გასწორდება:

ადმინისტრაციულ საჩივარს თან **ერთოდა** შემდეგი დოკუმენტების ასლები.

გენერატორის **გაუმართაობის** შემთხვევაში საჭიროა კომპიუტერული დიაგნოსტიკა.

...მიზანშეწონილია **გაუმართაობის** შემთხვევაში კომპიუტერული დიაგნოსტიკა და გამოვლენილი უნესრიგობების აღმოფხვრა.

შენიშვნა: ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, თუ ბოლოკიდურ **ვ**-ს წინ თანხმოდვანი უძღვის: **მორცხვობა, ბავშვობა, საბავშვო, ბრიყვობა...**

ასევეა **-ივ** ბოლოკიდურის შემცველი სიტყვებიც: **ხანგრძლივობა, უპერსპექტივობა, უინიციატივობა, აქტივობა...**

!!! ზოგიერთი სიტყვიდან ვ ბგერა არამართებულად არის ამოვარდნილი:

ეს **სადაო** საკითხია და მას აუცილებლად გავასაჩივრებთ სასამართლოში.

აღნიშნული **უდაო** ფაქტია და უნდა იქნეს განხილული, წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

მოულოდნელად გამოჩენილმა **მოშაო** ფერის ავტომობილმა ვერ შეძლო დამუხრუჭება და შეეჯახა წინ მდგარ ბოძს.

მიღება-ჩაბარების აქტში შეინიშნება **საეჭო** კონტრაქტის პირობები.

განმარტება: ზემოთ მოყვანილი წესისაგან განსხვავებით (**ვ** ბგერის დაკარგვას იწვევს მის მომდევნოდ მოხვედრილი ბაგისმიერი **ო** და **უ** ხმოვნები), **ვ** ბგერა ნარჩუნდება მხოლოდ შემდეგ ტიპობრივ შემთხვევებში: **მოშავო, დათვო, უდავო, სადავო, უნავოდ, უთავოდ, საზავო, საეჭვო, მომჟავო...**

მოხმობილი წინადადებები კი ასე გასწორდება:

ეს **სადავო** საკითხია და მას აუცილებლად გავასაჩივრებთ სასამართლოში.

აღნიშნული **უდავო** ფაქტია და უნდა იქნეს განხილული, წინააღმდეგ შემთხვევაში დაირღვევა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები.

მოულოდნელად გამოჩენილმა **მოშავო** ფერის ავტომობილმა ვერ შეძლო დამუხრუჭება და შეეჯახა წინ მდგარ ბოძს.

მიღება-ჩაბარების აქტში შეინიშნება **საეჭვო** კონტრაქტის პირობები.

1.7 ზოგი უცხო სიტყვის დანერგვის პრობლემები

1.7.1 ბიულეტინი/ბიულეტენი; აბსოლიტურად/აბსოლუტურად

მცდარი ფორმები:

შესაბამისი დოკუმენტაციის გადამონმებისას გამოვლინდა, რომ 10 **ბიულეტინი** სხვა დასტაში იყო განთავსებული.

ინციდენტის აღმოფხვრისთანავე განახლდა ხმების დათვლა **ბიულეტენების** მიხედვით.

ხელშეკრულების მიხედვით, **აბსოლიტურად** დაუშვებელია სამუშაო დროის არაობიექტური მიზეზით გაცდენა.

კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ **აბსოლიტურად** დაუშვებელია ამ სახით ხელშეკრულების დადება.

განმარტება: ფრანგული ენიდან შემოსულ სიტყვაში **ბიულეტენი** დაბოლოება **in** გამოითქმის როგორც **-ენ**, შესაბამისად, სწორი ფორმაა **ბიულეტენი** (და არა ბიულეტინი). სიტყვა **აბსოლუტური** კი მომდინარეობს **აბსოლუტ**-ისაგან. **-ურ** ბოლოსართის დართვით ვიღებთ ზედსართაულ ფორმას – **აბსოლუტურს**, **აბსოლიტური** კი შეცდომაა.

შესაბამისად, ნარმოდგენილი უმართებულო წინადადებები ასე გასწორდება:

შესაბამისი დოკუმენტაციის გადამონმებისას გამოვლინდა, რომ 10 **ბიულეტენი** სხვა დასტაში იყო განთავსებული.

ინციდენტის აღმოფხვრისთანავე განახლდა ხმების დათვლა **ბიულეტენების** მიხედვით.

ხელშეკრულების მიხედვით, **აბსოლუტურად** დაუშვებელია სამუშაო დროის არაობიექტური მიზეზით გაცდენა.

კიდევ ერთხელ ვაცხადებთ, რომ **აბსოლუტურად** დაუშვებელია ამ სახით ხელშეკრულების დადება.

1.7.2 სერთიფიკატი/სერტიფიკატი

მცდარი ფორმები:

ღონისძიების ფარგლებში სამინისტრო გეგმავს სამხედრო პირების დაჯილდოებას შესაბამისი **სერთიფიკატებით**.

სერთიფიკატის ასაღებად მსურველს მოეთხოვება ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნა.

სტატისტიკის მიხედვით, **სერთიფიცირებულ** პედაგოგთა რაოდენობა ყოველწლიურად იმატებს, რასაც უწყება წარმატებად მიიჩნევს.

ხელშეკრულებაში განერილია, რომ ტრენინგის გავლის შემდეგ მსურველები აიღებენ საჯარო მოხელის **სერთიფიკატებს**.

განმარტება: ევროპულ ენათა თანხმონების გადმოცემისას საერთაშორისო სიტყვებსა და საკუთარ სახელებში გასათვალისწინებელია, რომ ევროპული ენების **t** ასოს ქართულში შეესაბამება **ტ**, ხოლო **th** ჯგუფს – **თ**. შესაბამისად, სწორი ფორმაა **სერტიფიკატი, სერტიფიცირებული**.

წინადადებები ასე გასწორდება:

ღონისძიების ფარგლებში სამინისტრო გეგმავს სამხედრო პირების დაჯილდოებას შესაბამისი **სერტიფიკატებით**.

სერტიფიკატის ასაღებად მსურველს მოეთხოვება ინგლისური ენისა და კომპიუტერის ცოდნა.

სტატისტიკის მიხედვით, **სერტიფიცირებულ** პედაგოგთა რაოდენობა ყოველწლიურად იმატებს, რასაც უწყება წარმატებად მიიჩნევს.

ხელშეკრულებაში განერილია, რომ ტრენინგის გავლის შემდეგ მსურველები აიღებენ საჯარო მოხელის **სერტიფიკატებს**.

1.7.3 ლათინური **qv** ჯგუფის ქართულად გადმოცემის საკითხი: ადექვატური/ადეკვატური; ექვივალენტური/ეკვივალენტური

სიტყვაში ლათინური **qv** ჯგუფის ქართულად გადმოცემისას წერენ და ამბობენ **ქვ**-ს, რაც არასწორია.

მცდარი ფორმები:

კომპანიის წევრებმა განაცხადეს, რომ კომისიის ყველა რეკომენდაციას **ადექვატური** ზომები მოჰყვებოდა.

მოქალაქემ შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ თანხა მიიღო 1000 დოლარის **ექვივალენტური** ეროვნული ვალუტით.

პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტისათვის კენჭის საყრელად საჭირო **ქვორუმი** არ იყო და კენჭისყრა შემდეგი კვირისთვის გადაიდო.

განმარტება: ლათინური **qv** ქართულში გადმოდის **კვ** კომპლექსით: **ადეკვატური, არაადეკვატური, ეკვივალენტური, კვორუმი, რეკვიემი, რეკვიზიტები, კვოტა...**

შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი წინადადებები ასე გასწორდება:

კომპანიის წევრებმა განაცხადეს, რომ კომისიის ყველა რეკომენდაციას **ადეკვატური** ზომები მოჰყვებოდა.

მოქალაქემ შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ თანხა მიიღო 1000 დოლარის **ეკვივალენტური** ეროვნული ვალუტით.

პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტისათვის კენჭის საყრელად საჭირო **კვორუმი** არ იყო და კენჭისყრა შემდეგი კვირისთვის გადაიდო.

1.7.4 რეკომენდირებული/რეკომენდებული; პოლიტიზირებული/პოლიტიზებული; სტაბილიზირებული/სტაბილიზებული

როგორც დოკუმენტებში, ისე ზეპირ მეტყველებაში ხშირია უცხო სიტყვათა არასწორად გამოყენების შემთხვევები.

მცდარი ფორმები:

ესაა ორი სია, რომელიც ითვალისწინებს, ერთი მხრივ, დაუშვებელ და, მეორე მხრივ, *რეკომენდირებულ* მოქმედებებს.

დოკუმენტში მკაფიოდაა მითითებული, რომ *რეკომენდირებულია* ამ საკითხზე საგანგებო მოკვლევა.

ეს საკითხი *პოლიტიზირებულია* და მათი საჩივარიც ამ მიზანს ემსახურება.

გამოიკვეთა, რომ პარტიები ცდილობენ ამ მოვლენის *პოლიტიზირებას*, რაც ვერ აისახება კანონპროექტში.

საკითხის *სტაბილიზირება* მხოლოდ შესაბამის კანონს შეუძლია.

ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ამ სახით დარეგულირებული და *სტაბილიზირებული* შეთანხმება უკეთეს შედეგებს მოიტანს.

განმარტება: ზოგიერთ უცხო სიტყვასა თუ ტერმინში ვლინდება ქართულ-უცხოენოვანი **იზ-ება, ირ-ება** სუფიქსები. მათი შერწყმით მიიღება **იზ-ირ-ება**, რომლის გამოყენება გაუმართლებელია. ასეთი სიტყვებია: *პოლიტიზირება, რეკომენდირება, სტაბილიზირება, მონოპოლიზირება, პრივატიზირება, იმუნიზირება...*

მაშასადამე, მართებული ფორმები იქნება:

ესაა ორი სია, რომელიც ითვალისწინებს, ერთი მხრივ, დაუშვებელ და, მეორე მხრივ, **რეკომენდებულ** მოქმედებებს.

დოკუმენტში მკაფიოდაა მითითებული, რომ **რეკომენდებულია** ამ საკითხზე საგანგებო მოკვლევა.

ეს საკითხი **პოლიტიზებულია** და მათი საჩივარიც ამ მიზანს ემსახურება.

გამოიკვეთა, რომ პარტიები ცდილობენ ამ მოვლენის **პოლიტიზებას**, რაც ვერ აისახება კანონპროექტში.

საკითხის **სტაბილიზება** მხოლოდ შესაბამის კანონს შეუძლია.

ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ამ სახით დარეგულირებული და **სტაბილიზებული** შეთანხმება უკეთეს შედეგებს მოიტანს.

1.7.5 დასასრულს/დასასრულ სიტყვების შერჩევა

მცდარი ფორმები:

დასასრულს, კიდევ ერთ საკითხზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება.

შეხვედრის დასასრულს სამინისტროს წარმომადგენლებმა განიხილეს, რა საშუალებითაა შესაძლებელი ამ პროექტის მიღება.

დასასრულს, მოკლედ შეჯამდება მუშაობის შედეგები.

განმარტება: დასასრულს/დასასრულს – ორივე ვარიანტი კანონზომიერია, ოღონდ სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა მნიშვნელობით: თუ ამ სიტყვას ვიხმართ ზოგადად მოქმედების დაშვების მნიშვნელობით, მაშინ იგი ფუძის სახით, უბრუნვისნიშნოდ გამოიყენება და მძიმით გამოიყოფა: **დასასრულს**, შევაჯამოთ დღევანდელი სხდომა; **დასასრულს**, გვინდა წარმოგიდგინოთ...

ხოლო თუ ამ სიტყვას ვიხმართ რაიმე ღონისძიების ბოლო ნაწილის მნიშვნელობით, მაშინ მიცემითი ბრუნვის **ს** ნიშანი დაემატება: **სხდომის დასასრულს** იგეგმება კონფერენცია; **ღონისძიების დასასრულს** სიტყვით გამოვა კომპანიის დირექტორი...

შესაბამისად, წინადადებები ასე გასწორდება:

დასასრულს, კიდევ ერთ საკითხზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება.

შეხვედრის დასასრულს სამინისტროს წარმომადგენლებმა განიხილეს, რა საშუალებითაა შესაძლებელი ამ პროექტის მიღება.

დასასრულს, მოკლედ შეჯამდება მუშაობის შედეგები.

1.7.6 ახლახანს/ახლახან

მცდარი ფორმები:

ახლახანს მომხდარი ეს ფაქტი კიდევ დიდხანს იქნება განხილვის საგანი.

წერილში აღნიშნულია, რომ **ახლახანს** მიღებული კანონის მიხედვით იმოქმედებენ.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულია **ახლახანს** შესყიდული მაღალი ძაბვის კიდევ ერთი ელექტრობოდის დაყენება.

განმარტება: ახლახან ზმნიზება არ იცვლება, ის ყოველგვარი დამატებითი ნიშნის გარეშე გამოიყენება.

შესაბამისად, წინადადებები ასე გასწორდება:

ახლახან მომხდარი ეს ფაქტი კიდევ დიდხანს იქნება განხილვის საგანი.

წერილში აღნიშნულია, რომ **ახლახან** მიღებული კანონის მიხედვით იმოქმედებენ.

ხელშეკრულებით გათვალისწინებულია **ახლახან** შესყიდული მაღალი ძაბვის კიდევ ერთი ელექტრობოდის დაყენება.

თემა II.

სინტაქსის საკითხები

2.1 წოდება-თანამდებობისა და ხელობა-პროფესიის აღმნიშვნელ სიტყვათა ბრუნება საკუთარ სახელებთან ერთად: მსჯავრდებული ბუცხრიკიდის/მსჯავრდებულ ბუცხრიკიდის

მცდარი ფორმები:

განიხილეს... N12 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული *მსჯავრდებული* გიორგი ბუცხრიკიდის საქმე.

[თარიღი] გაცემული განკარგულების მიხედვით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული *პატიმარი* დიმიტრი ჯანელიძის ჩვენება.

განმარტება: გვარ-სახელს მსაზღვრელად შეიძლება ახლდეს წოდება-თანამდებობისა და ხელობა-პროფესიის აღმნიშვნელი სიტყვა (ექიმი, პროფესორი, ადვოკატი, მოსამართლე, მინისტრი, ჟურნალისტი...). თანამედროვე ქართულში, როგორც წესი, ჯერ ამგვარი სიტყვაა და მას მოსდევს გვარ-სახელი.

მათი მართებული ბრუნებისას გასათვალისწინებელია შემდეგი: თუ ასეთი სიტყვა თანხმოვანფუძიანია, მაშინ ის საკუთარ სახელებს შეეწყობა მხოლოდ სამ ბრუნვაში (სახელობითში, მოთხრობითსა და წოდებით ბრუნვებში), იბრუნვის მხოლოდ გვარი. დანარჩენ ბრუნვებში მსაზღვრელი სიტყვა ფუძის სახით, უბრუნვისნიშნოდაა წარმოდგენილი. ხმოვანფუძიანი მსაზღვრელი კი ყველა ბრუნვაში ფუძის სახითაა (იბრუნვის მხოლოდ გვარი).

სახ.

ადვოკატ-ი მერაბ სეხნიაშვილ-ი

მოთხრ.

ადვოკატ-მა მერაბ სეხნიაშვილ-მა

მიც.

ადვოკატ მერაბ სეხნიაშვილ-ს

ნათ.

ადვოკატ მერაბ სეხნიაშვილ-ის

მოქმ.

ადვოკატ მერაბ სეხნიაშვილ-ით

ვით.

ადვოკატ მერაბ სეხნიაშვილ-ად

ნოდ.

ადვოკატ-ო მერაბ სეხნიაშვილ-ო

სახ.

მოსამართლე ნუგზარ ბახტაძე

მოთხრ.

მოსამართლე ნუგზარ ბახტაძე-მ

მიც.

მოსამართლე ნუგზარ ბახტაძე-ს

ნათ.

მოსამართლე ნუგზარ ბახტაძ-ის

მოქმ.

მოსამართლე ნუგზარ ბახტაძ-ით

ვით.

მოსამართლე ნუგზარ ბახტაძე-დ

ნოდ.

მოსამართლე ნუგზარ ბახტაძე

შესაბამისად, წინადადებები გასწორდება ამგვარად:

განიხილეს... N12 პენიტენციურ დაწესებულებაში განთავსებული **მსჯავრდებულ** გიორგი ბუცხრიკიძის საქმე.

[თარიღი] გაცემული განკარგულების მიხედვით, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული **პატიმარ** დიმიტრი ჯანელიძის ჩვენება.

თემა II. სინტაქსის საკითხები

შენიშვნა: განსხვავებული ვითარება გვაქვს სიტყვების – **ბატონი** და **ქალბატონი** შემთხვევაში. ეს ორი სიტყვა ისე იბრუნვის, როგორც ნებისმიერი თანხმოვანფუძიანი სახელი, ესე იგი ნათესაობითსა და მოქმედებითში ისინი **ი** დაბოლოებას დაირთავენ:

სახ.

ბატონ-**ი** მერაბ სეხნიაშვილ-**ი**

მოთხრ.

ბატონ-**მა** მერაბ სეხნიაშვილ-**მა**

მიც.

ბატონ მერაბ სეხნიაშვილ-**ს**

ნათ.

ბატონ-**ი** მერაბ სეხნიაშვილ-**ის**

მოქმ.

ბატონი-**ი** მერაბ სეხნიაშვილ-**ით**

ვით.

ბატონ მერაბ სეხნიაშვილ-**ად**

ნოდ.

ბატონ-**ო** მერაბ სეხნიაშვილ-**ო**

სახ.

ქალბატონ-**ი** მარიამ ბარამიძე

მოთხრ.

ქალბატონ-**მა** მარიამ ბარამი-
ძე-**მ**

მიც.

ქალბატონ მარიამ ბარამიძე-**ს**

ნათ.

ქალბატონ-**ი** მარიამ ბარამიძ-**ის**

მოქმ.

ქალბატონ-**ი** მარიამ ბარამიძ-**ით**

ვით.

ქალბატონ მარიამ ბარამიძე-**დ**

ნოდ.

ქალბატონ-**ო** მარიამ ბარამიძე

2.2. რომელიც ნევრ-კავშირის მისამართ ნევრთან რიცხვში შეთანხმების დარღვევები: საკითხები, რომელიც/საკითხები, რომლებიც

მცდარი ფორმები:

როგორც სამუშაო დროის განმავლობაში, ისე მისი დასრულების შემდეგ არ დაუშვას იმგვარი *ქმედებების* განხორციელება, *რომელმაც* შეიძლება შეაფერხოს სამუშაო პროცესი ან/და ზიანი მიაყენოს იუსტიციის სახლის რეპუტაციასა და ავტორიტეტს.

უშუალო ხელმძღვანელის დროული ინფორმირება *ყველა იმ საკითხზე, რომელმაც* შესაძლოა იმოქმედოს ორგანიზაციის რეპუტაციაზე.

დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობები, მათი ძირითადი *უფლება-მოვალეობები, რომელსაც* არ ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულება, რეგულირდება შრომის კოდექსით.

დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო ხელმძღვანელს ან დამსაქმებლის სხვა შესაბამის წარმომადგენელს ისეთი *გარემოებების* წარმოშობის შესახებ, *რომელიც* საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

... მოთხოვნის მოცულობა, ის ფაქტობრივი და სამართლებრივი *საფუძვლები, რომელსაც* ემყარება მოთხოვნა.

განმარტება: წევრ-კავშირი **რომელიც** მრავლობით რიცხვში უნდა გამოვიყენოთ შემდეგ შემთხვევებში:

- ✓ როცა ასახსნელი წევრი, რომელსაც ის მიემართება, მრავლობით რიცხვშია. სულერთია **-ებ** სუფიქსითაა ნაწარმოები თუ **-ნ, -თ** ბოლოსართით, სულიერია თუ უსულო.
- ✓ როცა ასახსნელი წევრის მსაზღვრელია ერთზე მეტი რიცხვითი სახელი ან განუსაზღვრელი რაოდენობის აღმნიშვნელი სიტყვა (ბევრი, ცოტა, ზოგი, ამდენი, რამდენი...).
- ✓ როცა ასახსნელი წევრი ორ- და მეტცნებიანია (დედ-მამა, და-ძმა).

შესაბამისად, ზემოთ მოხმობილი წინადადებები ასე უნდა გასწორდეს:

როგორც სამუშაო დროის განმავლობაში, ისე მისი დასრულების შემდეგ არ დაუშვას იმგვარი **ქმედებების** განხორციელება, **რომლებმაც** შეიძლება შეაფერხოს სამუშაო პროცესი ან/და ზიანი მიაყენოს იუსტიციის სახლის რეპუტაციასა და ავტორიტეტს.

უშუალო ხელმძღვანელის დროული ინფორმირება **ყველა იმ საკითხზე, რომლებმაც** შესაძლოა იმოქმედოს ორგანიზაციის რეპუტაციაზე.

დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობები, მათი ძირითადი **უფლება-მოვალეობები, რომელთაც/რომლებსაც** არ ითვალისწინებს წინამდებარე ხელშეკრულება, რეგულირდება შრომის კოდექსით.

დაუყოვნებლივ აცნობოს უშუალო ხელმძღვანელს ან დამსაქმებლის სხვა შესაბამის წარმომადგენელს ისეთი **გარემოებების** წარმოშობის შესახებ, **რომლებიც** საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.

...მოთხოვნის მოცულობა, ის ფაქტობრივი და სამართლებრივი **საფუძვლები, რომლებსაც** ემყარება მოთხოვნა.

2.3. როგორც ნევრ-კავშირის მისამართ ნევრთან რიცხვში შეთანხმების დარღვევები: გარემოებები, როგორც/გარემოებები, როგორების

მცდარი ფორმები:

ტრენინგი ჩაატარა ნიდერლანდელმა ექსპერტმა და ფოკუსირებული იყო ისეთ *საკითხებზე, როგორცაა:*

ფორსმაჟორს მიეკუთვნება ბუნებრივი *ხდომილებანი* ან პოლიტიკური, სამხედრო, სამართლებრივი, შრომითი, სოციალური, საგანგებო და შეუქცევადი *გარემოებები* (დაუძლეველი ძალა), *როგორცაა* ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემია და ა.შ.

სისტემაში ჩაშენებული *სხვადასხვა მოდულის* საშუალებით, *როგორცაა:* თანამშრომელთა შვებულებები, მივლინებები, პირადი საქმეები, იუსტიციის სახლისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური, რთული შეფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემები, მოხდება თანამშრომლების მთლიანი სამუშაო ციკლის მართვა.

მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამომწვეულია *ისეთი გარემოებით, როგორცაა* წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები.

განმარტება: თუ საზღვრული მხოლოდით რიცხვში დგას, მაშინ **როგორც** მხოლოდით რიცხვში შეეწყობა, ხოლო როცა საზღვრული სიტყვა მრავლობით რიცხვში დგას, მაშინ ის მრავლობით რიცხვში შეეთანხმება, სულერთია, სულიერია ის თუ უსული.

შესაბამისად, მოყვანილი მაგალითები გასწორდება ასე:

ტრენინგი ჩაატარა ნიდერლანდელმა ექსპერტმა და ფოკუსირებული იყო ისეთ **საკითხებზე, როგორებიცაა:**

ფორსმაჟორს მიეკუთვნება ბუნებრივი **ხდომილებანი** ან პოლიტიკური, სამხედრო, სამართლებრივი, შრომითი, სოციალური, საგანგებო და შეუქცევადი **გარემოებები** (დაუძლეველი ძალა), **როგორებიცაა** ომი, სტიქიური მოვლენები, ეპიდემია და ა.შ.

სისტემაში ჩაშენებული **სხვადასხვა მოდულის** საშუალებით, **როგორებიცაა:** თანამშრომელთა შვებულებები, მივლინებები, პირადი საქმეები, იუსტიციის სახლისთვის დამახასიათებელი სპეციფიკური, რთული შეფასებისა და პროფესიული განვითარების სისტემები, მოხდება თანამშრომლების მთლიანი სამუშაო ციკლის მართვა.

მხარეები არ არიან პასუხისმგებელი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამონწვეულია ისეთი **გარემოებებით, როგორებიცაა** წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები.

2.4 რადგან და რათა კავშირების არასწორად გამოყენების შემთხვევები

მცდარი ფორმები:

როგორც ის განმარტავს, რეგისტრაცია გადაწყვიტეს, **რადგან** ორგანიზაცია მზად დახვედროდა შემდეგ არჩევნებს.

კომპანიამ შეისყიდა ახალი მართვის სისტემა, **რადგან** შესაძლებელი ყოფილიყო ფინანსური ოპერაციების შესრულება.

სამინისტროში მიიჩნევენ, რომ მომხდარი უთუოდ შესასწავლია, **რადგან** კვლავ არ დაუშვან მონამვლის ფაქტები.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები უნდა შესრულდეს, **რადგან** არ შეფერხდეს სამუშაო პროცესი.

განმარტება: მოქმედების მიზეზი წინმსწრებ მოვლენას ასახავს და მას თხრობითი კილოს ზმნური ფორმები შეეწყობა (**რადგან** მოვიდა, მოდის, მოვა...). მას შეესაბამება კითხვა **რატომ? რა მიზეზით?**

მიზანი კი მომავალში უნდა შესრულდეს. მას შეესაბამება კავშირებითი კილოს ზმნური ფორმები (**რათა** მოვიდეს, მოსულიყო...) და შეეწყობა კითხვა **რა მიზნით? რისთვის?**

შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი წინადადებები გასწორდება შემდეგნაირად:

როგორც ის განმარტავს, რეგისტრაცია გადაწყვიტეს, **რათა** ორგანიზაცია მზად დახვედროდა შემდეგ არჩევნებს.

კომპანიამ შეისყიდა ახალი მართვის სისტემა, **რათა** შესაძლებელი ყოფილიყო ფინანსური ოპერაციების შესრულება.

სამინისტროში მიიჩნევენ, რომ მომხდარი უთუოდ შესასწავლია, **რათა** კვლავ არ დაუშვან მონამვლის ფაქტები.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები უნდა შესრულდეს, **რათა** არ შეფერხდეს სამუშაო პროცესი.

2.5 რაც – რომელიც კავშირების აღრევით გამოყენების შემთხვევები

მცდარი ფორმები:

აღსრულების შეჩერებით ხდება სააღსრულებო მოქმედებების გადადება მხოლოდ იმ ვადით, **რაც** აუცილებელია აღსრულების შეჩერების განმაპირობებელი გარემოების აღმოსაფხვრელად.

ეს შეთანხმებით მიღებული ხელშეკრულებაა, **რაც** საჭიროა საქმის აღძვრისათვის.

კომისიის ოქმი, რომელშიც ასახულია კომისიის წევრების მუშაობა და კონკურსის შედეგები, არის დოკუმენტი, **რის** მიხედვითაც შესაძლებელია კონკურსის იურიდიულად დამტკიცება.

განმარტება: თუ მთავარი წინადადების ასახსნელი (მისამართი) სიტყვა არის არსებითი სახელი, მაშინ გამოიყენება **რომელიც** და არა **ვინც**, **რაც** წევრ-კავშირები.

წინადადებები კი ასე გაიმართება:

აღსრულების შეჩერებით ხდება სააღსრულებო მოქმედებების გადადება მხოლოდ იმ ვადით, **რომელიც** აუცილებელია აღსრულების შეჩერების განმაპირობებელი გარემოების აღმოსაფხვრელად.

ეს შეთანხმებით მიღებული ხელშეკრულებაა, **რომელიც** საჭიროა საქმის აღძვრისათვის.

კომისიის ოქმი, რომელშიც ასახულია კომისიის წევრების მუშაობა და კონკურსის შედეგები, არის დოკუმენტი, **რომლის** მიხედვითაც შესაძლებელია კონკურსის იურიდიულად დამტკიცება.

თემა III.

სტილისტიკური შეცდომები

3.1 კალკები

3.1.1 სახეზეა, საქმე იმაშია, მიმართებაშია, კავშირშია...

ოფიციალურ დოკუმენტებში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება უცხო ენის გავლენით დამკვიდრებული კალკები. ესაა ერთი ენის ბეგავლენა მეორეზე – ენობრივი მასალა საკუთარია, ოღონდ ენობრივი ერთეული აგებულია სხვა ენის სტრუქტურული ბუნების „კარნახით“.

დოკუმენტებში განსაკუთრებით ჭარბობს კალკის – **სახეზეა** – გამოყენების შემთხვევები.

მცდარი ფორმები:

ბემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **სახეზეა** ერთი მინის ნაკვეთის მიმართ ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ჩანაწერის არსებობა.

თუ **სახეზეა** სამუშაოს არაკეთილსინდისიერად შესრულების ფაქტი, მაშინ ხელშეკრულება გაუქმდება სათანადო წესით.

საზგასასმელია, რომ აქაც **სახეზეა** შესწორების ოქმი.

აღნიშნულ შემთხვევაში **სახეზე იყო** მხოლოდ პლაკატების დაზიანება.

მითითებული მომსახურება განხორციელებულია შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ და **სახეზე არ არის** „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ დარღვევა.

განმარტება: სახეზეა შეცდომაა, უნდა გამოვიყენოთ ქართული სათავის ბუნებრივი სიტყვები: **არის, იმყოფება, გამოვლინდა, აშკარაა, ფაქტია, თვალსაჩინოა, ხელშესახებია...**

ზემოთ მოხმობილი წინადადებები ასე გასწორდება:

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **აშკარაა** ერთი მიწის ნაკვეთის მიმართ ორი ურთიერთსაინააღმდეგო ჩანაწერის არსებობა.

თუ **ვლინდება** სამუშაოს არაკეთილსინდისიერად შესრულების ფაქტი, მაშინ ხელშეკრულება გაუქმდება სათანადო წესით.

ხაზგასასმელია, რომ აქაც **თვალსაჩინოა** შესწორების ოქმი.

აღნიშნულ შემთხვევაში **აშკარა იყო** მხოლოდ პლაკატების დაზიანება.

მითითებული მომსახურება განხორციელებულია შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ და **არ ვლინდება** „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ დარღვევა.

3.1.2 ადგილი აქვს

მცდარი ფორმები:

დასაქმებული ასევე ვალდებულია გადაიხადოს მთელი თანხა, რომელიც წარმოადგენს დასაქმებული პირის დავალიანებას, თუ ასეთს *ეწება ადგილი* ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტში.

ამ საქმესთან მიმართებით გადაცდომას ან/და დარღვევას *ადგილი არ ჰქონია*.

მოთხოვნათა დარღვევას მოცემულ შემთხვევაში *ადგილი არ ჰქონდა*.

რაც შეეხება ზემოხსენებულ კონკრეტულ საქმეს, *ადგილი აქვს* ტყის ფონდის დიდი ფართობის *დაუფლებას*.

ამ ეტაპისთვის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტებს *ადგილი არ აქვს*.

მარკირების პროცედურასთან დაკავშირებით დარღვევებს *ადგილი არ ჰქონია*.

განმარტება: *ადგილი აქვს* არის კალკი. ის მომდინარეობს რუსული ენიდან — имеет место.

მოყვანილი წინადადეგები კი ასე გასწორდება:

დასაქმებული ასევე ვალდებულია გადაიხადოს მთელი თანხა, რომელიც წარმოადგენს დასაქმებული პირის დავალიანებას, თუ **ასეთი შემთხვევა იქნება** ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტში.

ამ საქმესთან მიმართებით გადაცდომა ან/და დარღვევა **არ ყოფილა**.

მოთხოვნათა დარღვევა მოცემულ შემთხვევაში **არ ყოფილა**.

რაც შეეხება ზემოხსენებულ კონკრეტულ საქმეს, **აშკარაა** ტყის ფონდის დიდი ფართობის **დაუფლება**.

ამ ეტაპისთვის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები **არ დასტურდება**.

მარკირების პროცედურასთან დაკავშირებით **დარღვევები არ ყოფილა**.

შენიშვნა: ადგილი აქვს ყველა შემთხვევაში კალკი არაა, ის მართებულია შემდეგი სახის შესიტყვებაში: **ყველაფერს თავისი ადგილი აქვს**.

3.1.3 მიმართებაში

მცდარი ფორმები:

კანონპროექტი განიხილეს ფინანსურ საკითხებთან *მიმართებაში*.

რას ფიქრობენ ეპიდემიოლოგები სკოლებთან *მიმართებაში*?

იმსჯელეს ამ საკითხთან *მიმართებაში*.

პროექტი განიხილეს ამოცანების შესრულების ვადებთან *მიმართებაში*.

განმარტება: *მიმართებაში* – ეს ფორმა უმართებულოდ გამოიყენება გარკვეულ კონტექსტებში. მის ნაცვლად უნდა იყოს: **მიმართებით / შესახებ / დაკავშირებით**.

მოყვანილი წინადადებები გასწორდება შემდეგნაირად:

კანონპროექტი განიხილეს ფინანსურ საკითხებთან **მიმართებით/ დაკავშირებით**.

რას ფიქრობენ ეპიდემიოლოგები სკოლებთან **მიმართებით/ დაკავშირებით**?

იმსჯელეს ამ საკითხის **შესახებ**.

პროექტი განიხილეს ამოცანების შესრულების ვადებთან **მიმართებით**.

3.1.4 კავშირშია

მცდარი ფორმები:

რეაბილიტაციის განუხორციელებლობით მიყენებული მორალური ზიანი ვერ იქნება იუსტიციის სამინისტროსთან **სამართლებრივ კავშირში**.

პროგრამა დაიყო ორ ნაწილად და იგი ხორციელდება ეტაპობრივად, რაც **არანაირ კავშირში არ არის** საარჩევნო პერიოდთან.

სამიზნე გახდა ყველა, ვინც ჩატარებულ **კონკურსთან** რაიმე ფორმით **კავშირშია**.

განმარტება: კავშირშია კალკირებული ფორმაა და მის ნაცვლად უნდა გამოვიყენოთ **კავშირი აქვს, დაკავშირებულია**.

წინადადებები კი ასე გასწორდება:

რეაბილიტაციის განუხორციელებლობით მიყენებული მორალური ზიანი ვერ იქნება იუსტიციის სამინისტროსთან **სამართლებრივად დაკავშირებული**.

პროგრამა დაიყო ორ ნაწილად და იგი ხორციელდება ეტაპობრივად, რაც **არანაირად არ არის დაკავშირებული** საარჩევნო პერიოდთან.

სამიზნე გახდა ყველა, ვინც ჩატარებულ **კონკურსთან** რაიმე ფორმით **არის დაკავშირებული**.

3.1.5 რეჟიმში

მცდარი ფორმები:

ჩვენი გუნდი **აქტიურ რეჟიმში** აგრძელებს მუშაობას მუქედისა და ციხესულორის მოსახლეობაში არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

კომპანია **24-საათიან რეჟიმში** მუშაობს იმისათვის, რომ მოამზადოს შესაბამისი ხელშეკრულებები ახალი თანამშრომლობისათვის.

პარალელურ რეჟიმში მიმდინარეობდა პირდაპირი ტრანსლაცია.

კომიტეტი **საგანგებო რეჟიმში** იმუშავებს მომდევნო დღესაც, რათა კანონპროექტმა საბოლოო სახე მიიღოს.

პარალელურ რეჟიმში გაგრძელდეს პროექტზე მუშაობა.

განმარტება: დასახელებული ტიპის სიტყვათშეხამებანი უმართებულა. მსგავს კონტექსტებში **რეჟიმი** ნიშნავს ცხოვრების, შრომის და მისთ. მტკიცედ დადგენილ განაწესს, წესს. ესა თუ ის ქმედება უნდა შესრულდეს გარკვეული განაწესით, წესით და არა „განაწესში“, „წესში“.

შესაბამისად, უნდა იყოს:

ჩვენი გუნდი **აქტიური რეჟიმით** აგრძელებს მუშაობას მუქედისა და ციხესულორის მოსახლეობაში არსებული პრობლემების გადასაჭრელად.

კომპანია **24-საათიანი რეჟიმით** მუშაობს იმისათვის, რომ მოამზადოს შესაბამისი ხელშეკრულებები ახალი თანამშრომლობისათვის.

პარალელური რეჟიმით მიმდინარეობდა პირდაპირი ტრანსლაცია.

კომიტეტი **საგანგებო რეჟიმით** იმუშავებს მომდევნო დღესაც, რათა კანონპროექტმა საბოლოო სახე მიიღოს.

პარალელური რეჟიმით გაგრძელდეს პროექტზე მუშაობა.

3.1.6 საქმე იმაშია

მცდარი ფორმები:

საქმე იმაშია, რომ [გვარი...] გადაცემას მეზობელი სახელმწიფო წლების წინ გადაუხდელი საბანკო დავალიანების გამო ითხოვს.

საქმე იმაშია, რომ გამოტანილი განაჩენი არასამართლიანად მიგვაჩნია და მოვითხოვთ საფუძვლიან გამოძიებას.

საქმე იმაშია, რომ სამინისტრო არ არის უფლებამოსილი შეისწავლოს ეს საკითხი, რადგან ეს სცდება მის კომპეტენციას.

საქმე იმაშია, რომ ხელისუფლების ძირითადი მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე არსებულ საშინაო თუ საგარეო გამოწვევებზე რეაგირებაა.

განმარტება: საქმე იმაშია მომდინარეობს რუსული ენიდან – дело в том что. ქართულისათვის ბუნებრივი და სწორი ფორმაა **საქმე ისაა**.

წინადადებები ასე უნდა გასწორდეს:

საქმე ისაა, რომ [გვარი...] გადაცემას მეზობელი სახელმწიფო წლების წინ გადაუხდელი საბანკო დავალიანების გამო ითხოვს.

საქმე ისაა, რომ გამოტანილი განაჩენი არასამართლიანად მიგვაჩნია და მოვითხოვთ საფუძვლიან გამოძიებას.

საქმე ისაა, რომ სამინისტრო არ არის უფლებამოსილი შეისწავლოს ეს საკითხი, რადგან ეს სცდება მის კომპეტენციას.

საქმე ისაა, რომ ხელისუფლების ძირითადი მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე არსებულ საშინაო თუ საგარეო გამოწვევებზე რეაგირებაა.

3.1.7 არასწორი ფორმები: ჩატარდა, შედგა

მცდარი ფორმები:

ელექტრონული პლატფორმა Zoom-ის მეშვეობით **ჩატარდა** **ზეპირი მოსმენის სხდომა**.

ჯამში, 14 **სხდომა ჩატარდა**.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით **გასაუბრება შედგა** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირის მეჩეთის იმამთან.

გასაუბრება ჩატარდა ბრძანებულების საფუძველზე დადგენილ ვადებში.

განმარტება: ტარდება – ატარებს ზმნების ძირითადი მნიშვნელობებია: **დააქვს, დაჰყავს, ეწყობა, აწყობს...** ატარებს იარაღს, მანქანას, ლექციას, ქუდს, გაკვეთილს, დენს... ოფიციალურ სტილში ხშირია მისი გამოყენება ისეთ სახელურ-ზმნურ კონსტრუქციებში, სადაც იგი თავისი პირველადი მნიშვნელობისაგან დაცლილია. ასეთ შემთხვევებში მართებული იქნება **მართავს** ზმნის გამოყენება.

წარმოდგენილ წინადადებებში ბუნებრივი ქართული ფრაზები იქნება:

ელექტრონული პლატფორმა Zoom-ის მეშვეობით **გაიმართა** **ზეპირი მოსმენის სხდომა**.

ჯამში, 14 **სხდომა გაიმართა**.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით **გასაუბრება გაიმართა** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სოფელ მთისპირის მეჩეთის იმამთან.

გასაუბრება გაიმართა ბრძანებულების საფუძველზე დადგენილ ვადებში.

3.1.8 ახდენს, მოახდინა, ხდება

მცდარი ფორმები:

2021 წლის აგვისტოს ბოლოს მეჩეთის ეზოდან **მოხდა** ერთ-ერთი გარდაცვლილის **გასვენება**.

...**მოახდინოს** მმართველობითი აქტების რეალურ-სამართლებრივ და ფაქტობრივ ცვლილებებთან **შესაბამისობაში მოყვანა**.

კომისიის წევრების მიერ კანდიდატების **შეფასება მოხდა** ხუთქულიანი სკალით.

... პუნქტით განსაზღვრული თანხიდან დამსაქმებელი **ახდენს** შესაბამისი გადასახადების **გადახდას** საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით.

დასაქმებულთან, რომელიც თვითნებურად არასაპატიო მიზეზით ბედიზედ 3 სამუშაო დღითა და მეტი ვადით არ გამოცხადდება სამუშაოზე, შესაძლებელია **მოხდეს** შრომითი ხელშეკრულების **შწყვეტა**.

„საალსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91⁷-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **რესკონდენტ(ებ)ის მიერ მოხდა პროტესტის წარდგენა** მოთხოვნაზე, რაც ალსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დავალიანების გადახდვინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის საფუძველს წარმოადგენს.

... **ახდენს** სააგიტაციო მასალის **განთავსებას** ამ პუნქტით განსაზღვრულ ობიექტებზე.

განმარტება: **ახდენს, მოახდინა, ხდება** ზმნები თავიანთი მნიშვნელობით დღეს არცთუ ისე ხშირად გამოიყენება: **მონაწილე ხდება, მისი წერა ხდება, ავად ხდება, ვერაფერს ხდება, გავლენას ახდენს, შთაბეჭდილებას ახდენს...**

ბოლო პერიოდში კი დასახელებულმა ზმნებმა გაიფართოვეს როგორც მნიშვნელობა, ისე მოხმარების არე და ხშირად ენაცვლებიან შემდეგ ზმნებს: **ტარდება, ეწევა, ეწყობა, შვრება...**

ეს არაა მართებული, უნდა გამოვიყენოთ ქართული ენისათვის ბუნებრივი წარმოება და მხოლოდ ზმნით გამოვხატოთ მოქმედება:

2021 წლის აგვისტოს ბოლოს მეჩეთის ეზოდან **გამოასვენეს ერთ-ერთი გარდაცვლილი.**

...მმართველობითი აქტები რეალურ-სამართლებრივ და ფაქტობრივ ცვლილებებს **შეუსაბამოს.**

კომისიის წევრების მიერ კანდიდატები **შეფასდნენ** ხუთქულიანი სკალით.

... პუნქტით განსაზღვრული თანხიდან დამსაქმებელი **იხდის** შესაბამის **გადასახადებს** საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით.

დასაქმებულთან, რომელიც თვითნებურად არასაპატიო მიზეზით ბედიზედ 3 სამუშაო დღითა და მეტი ვადით არ გამოცხადდება სამუშაოზე, **შესაძლებელია შრომითი ხელშეკრულება შეწყდეს.**

„სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 91⁷-ე მუხლის მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **რესპონდენტმა/რესპონდენტებმა პროტესტი წარადგინა/წარადგინეს** მოთხოვნაზე, რაც აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ ბრძანების გამოცემაზე უარის საფუძველს წარმოადგენს.

... სააგიტაციო მასალას **განათავსებს** ამ პუნქტით განსაზღვრულ ობიექტებზე.

3.1.9 ხელოვნური ფორმები: შეფასება მისცა, შეფასება გაუკეთა

მცდარი ფორმები:

ამასთან **შეფასება არ მიუცია** იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე 2007 წლიდან სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეა.

გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე სასამართლოს **შეფასება არ მიუცია** თქვენ მიერ აღნიშნულ პროცესთან დაკავშირებით.

აღნიშნულია, რომ ჯერჯერობით ამ საკითხზე **შეფასება არ გაკეთებულა** კომპანიის მხრიდან.

განმარტება: დასახელებულ შემთხვევებში უნდა გამოვიყენოთ ქართული ენისათვის ბუნებრივი – მხოლოდ მარტივი გმნური ფორმები.

ამასთან **არ შეუფასებია** ის გარემოება, რომ მოსარჩელე 2007 წლიდან სადავო უძრავი ქონების მესაკუთრეა.

გაცნობებთ, რომ ამ ეტაპზე სასამართლოს **არ შეუფასებია** თქვენ მიერ აღნიშნული პროცესი.

აღნიშნულია, რომ ჯერჯერობით **ეს საკითხი არ შეუფასებია კომპანიას.**

3.1.10 ხელოვნური ფორმები: ახორციელებს დადასტურებას, ახორციელებს შესყიდვას

მცდარი ფორმები:

სააგენტო ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში **ახორციელებს** სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული, დაინტერესებული პირის ხელმოწერის ფაქტის **დადასტურებას**.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ვალდებულია **განახორციელოს** ინვენტარის **შესყიდვა** მოცემული ხელშეკრულების პირობებით.

განმარტება: ახორციელებს – ხორციელდება გმნების მნიშვნელობაა: სინამდვილედ ქცევა, შესრულება. მაგ., **ახორციელებს მიზანს, გეგმას, ოცნებას, ნატვრას, პროგრამას...** დასახელებული სიტყვათშეხამებანი ბუნებრივი გამოთქმებია, მაგრამ უფრო ხშირად ეს გმნა გვხვდება შეუფერებელ კონტექსტში, როგორც ზემოთ მოცემულ წინადადებებშია.

ამიტომ წინადადებები გასწორდება მარტივი კონსტრუქციით:

სააგენტო ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში **ადასტურებს** სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს კომპეტენციას მიკუთვნებული, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული, დაინტერესებული პირის ხელმოწერის ფაქტს.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი ვალდებულია **შეისყიდოს** ინვენტარი მოცემული ხელშეკრულების პირობებით.

3.1.11 წარმოებს – აწარმოებს

მცდარი ფორმები:

მათ რეგულარულად **უნდა აწარმოონ** ამ ტიპის დაწესებულებების ჯგუფური დაკვირვება.

უნწყებაში **წარმოებს** კვარტალური **შემონშება**, რათა დროულად გამოვლინდეს სავარაუდო გადაცდომები.

გამარჯვებულთა **დაკვიდროებას აწარმოებს** იუსტიციის სამინისტრო.

განმარტება: დასახელებული ზმნის მნიშვნელობაა რაიმე საქმიანობის განწევა. ამ შინაარსის გამო ისინი წინადადებაში უკავშირდებიან მოქმედების აღმნიშვნელ სახელებს: **აწარმოებს მუშაობას, მოლაპარაკებას, გათხრებს, მიწერ-მონერას...** მაგრამ მისი გამოყენება ყველა რიგის სახელთან გაუმართლებელია.

შესაბამისად, ფრაზები გამართული იქნება შემდეგი სახით:

ისინი რეგულარულად, ჯგუფურად **უნდა დააკვირდნენ** ამ ტიპის დაწესებულებებს.

უნწყება **კვარტალურად მონშდება**, რათა დროულად გამოვლინდეს სავარაუდო გადაცდომები.

გამარჯვებულებს **აკვიდროებს** იუსტიციის სამინისტრო.

3.1.12 ენობა - ანობს

განმარტება: ამ ზმნების ძირითადი მნიშვნელობებია: მოგვარება, მოწესრიგება, ჩატარება, შექმნა, გამართვა... ამ მნიშვნელობით ხშირად გამოიყენება შემდეგი სახის სიტყვათშეხამებანი: **საღამოს მონყოლა, სცენის მონყოლა, ექსკურსიის მონყოლა...** ასეთ შემთხვევებში ზმნა სახელთანაა დაკავშირებული და ყველგან გადმოსცემს მოქმედების შინაარსს.

თუმცა ბოლო პერიოდში ოფიციალურ სტილსა და ასევე მედიაშიც ძალიან გახშირდა საგნის მოქმედებისა და მდგომარეობის გამოსახატავად ისეთი სახელურ-ზმნური წარმოება, სადაც ზმნა შინაარსისაგანაა დაცლილი და მხოლოდ დამხმარე სიტყვის როლს ასრულებს. ამგვარ წინადადებებში სემანტიკური ფუნქციის შესრულება ეკისრება სახელზმნას. ასეთია: *ენობა გაზეთის გამოშვება, მოაწყეს მოვლა-შენახვა, მოაწყეს კინოსურათების ჩვენება, მოეწყო სავალი გზების მარილით მოფენა...* ამათგან მართებული იქნება შემდეგი: **უშვებენ გაზეთს, მოუარეს-შეინახეს, აჩვენეს კინოსურათები, სავალი გზები მარილით მოფინეს...**

3.1.13 მიმდინარეობს

ამ ზმნის პირველადი მნიშვნელობაა **მოედინება, მიდის** (მაგ., წყალი, მდინარე, გადატანითი მნიშვნელობით – ცხოვრება, დრო). როდესაც მას იყენებენ დამატებით, დამხმარე ზმნის მნიშვნელობით (მაგ., მიმდინარეობს დახარისხება, მიმდინარეობს ჩაბარება...), მაშინ ასეთი წარმოება არასწორია.

მცდარი ფორმები:

ახლა სწრაფი ტემპით **მიმდინარეობს** ყურძნის სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ სპეციალურ პუნქტებში **ჩაბარება და დახარისხება**.

იუსტიციის სამინისტროში აქტიურად **მიმდინარეობს** **სტაჟიორთა მიღებისა და დასაქმების პროცესები**.

ჯობია, მოყვანილი წინადადებები ასე გაიმართოს:

ახლა სწრაფი ტემპით **აბარებენ და ახარისხებენ** ყურძენს სახელმწიფოს მიერ გამოყოფილ სპეციალურ პუნქტებში.

იუსტიციის სამინისტროში აქტიურად **იღებენ სტაჟიორებს და ასაქმებენ მათ**.

3.1.14 ზომებს ატარებს/ ზომებს იღებს

სიტყვებს – **ღონისძიება და ზომები** – ზოგჯერ სინონიმური მნიშვნელობა აქვთ, მაგრამ თითოეული მათგანი ბუნებრივ შესიტყვებას სხვადასხვა ზმნასთან ქმნის: სიტყვა **ღონისძიება** ეწყობა შემასმენელს **ატარებს, ზომები** კი – **იღებს** ზმნას. ამიტომ სხვა ზმნებთან მათი გამოყენება ენისათვის შეუფერებელ სიტყვათშეხამებას ქმნის. მაგალითად: *გატარდეს ზომები, ზომებს ატარებენ, განახორციელებენ ზომებს...*

მცდარი ფორმები:

ამის აღსაკვეთად საჭიროა *გატარდეს შესაბამისი ზომები.*

სამინისტრო უზრუნველყოფს სპეციალური *ზომების გატარებას.*

ფრაზები ასე გაიმართება:

ამის აღსაკვეთად საჭიროა **შესაბამისი ზომების მიღება.**

სამინისტრო სპეციალურ **ზომებს იღებს.**

3.1.15 არაბუნებრივი გამოთქმები: არგუმენტები/მაგალითები/ციტატები/ილუსტრაცია/მასალა ... მოაქვს

მცდარი ფორმები:

ნიმუშად **მოგვაცქვს რამდენიმე მონაცემი** ოფიციალური სტატისტიკიდან.

ზემოთ **მოტანილი მაგალითები** მხარს უჭერს უცხოელი სპეციალისტის მოსაზრებებს.

მსგავსი **მაგალითების მოტანით** უფრო ცხადი გახდება, ვის და როგორ შეეხება ეს კანონპროექტი.

უნწყების განცხადებით, **სტატისტიკური მონაცემები მოაქვთ** საერთო სასამართლოს საქმეთა ერთიანი რეესტრიდან.

განმარტება: ქართულ ენაში მყარ ფრაზეოლოგიურ გამოთქმას მიეკუთვნება **მაგალითის მოყვანა**. ამ ზმნასთან შეხამებული ყველა სახელი (**აზრი, ციფრი, არგუმენტი, ციტატა, ილუსტრაცია, მასალა...**) ფიზიკურად მოტანილ ობიექტებს კი არ გულისხმობს, არამედ დასასაბუთებლად, დასადასტურებლად მოხმობილ, დამონმებულ ობიექტებს. დამონმება კი იგივეა, რაც მონმედ დადგომა. ამიტომაც ბუნებრივი გამოთქმებია **არგუმენტები/მაგალითები/ციტატები/ილუსტრაცია/მასალა... მოჰყავს, მოყვანილი არგუმენტები/მაგალითები/ციტატები/ილუსტრაცია/მასალა... და არა მოაქვს/მოტანილი**.

შესაბამისად, წინადადებები ასე გასწორდება:

ნიმუშად **მოგვყავს რამდენიმე მონაცემი** ოფიციალური სტატისტიკიდან.

ზემოთ **მოყვანილი მაგალითები** მხარს უჭერს უცხოელი სპეციალისტის მოსაზრებებს.

თემა III. სტილისტიკური შეცდომები

მსგავსი **მაგალითების მოყვანით** უფრო ცხადი გახდება, ვის და როგორ შეეხება ეს კანონპროექტი.

უნწყების განცხადებით, **სტატისტიკური მონაცემები მოჰყავთ** საერთო სასამართლოს საქმეთა ერთიანი რეესტრიდან.

3.2 სხვა სახის სტილისტიკური ხარვეზები

3.2.1 ერთ წინადადებაში ერთი და იმავე ფუძის ზმნისა და სახელზმნის ერთად გამოყენების ტავტოლოგიური ხარვეზი

მცდარი ფორმები:

დასაქმებული *კისრულობს* ვალდებულებას შეასრულოს მისთვის *დაკისრებული* სამუშაო.

2019 წლის 23 ივლისის *გაფორმებული* საიჯარო ხელშეკრულების შესაბამისად *ვაფორმებთ* წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს.

ხელშეკრულების საგანია ბიუროს მიერ კანონმდებლობით დაკისრებული ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებისთვის *შესასრულებელი* გარკვეული მოქმედებების სააგენტოს მიერ *შესრულება*.

სააგენტო უფლებამოსილია, *შესაბამისი* პროგრამის მეშვეობით განახორციელოს სააგენტოს მიერ გამოცემული იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული აქტის/აქტებისა და სააღსრულებო ფურცლის/ფურცლების *შესაბამის* პროგრამაში ატვირთვა.

მიანოდოს ინფორმაცია შესაბამისი ნორმატიული აქტის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით, თუ აღნიშნული ცვლილება/ცვლილებების პროექტი გავლენას ახდენს სააგენტოს მიერ *განსახორციელებელი* მოქმედებების *განხორციელებაზე*.

სააგენტოს მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების *განხორციელების* პროცესში ბიუროს მონაცემთა ელექტრონული ბაზიდან მიღებული ინფორმაცია გამოიყენოს მხოლოდ სააგენტოს მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქმედებების *განსახორციელებლად* და არ დაუშვას მიღებული

ინფორმაციის გადაცემა ან სხვაგვარი ხელმისაწვდომობა მესამე პირებისათვის.

ხელშეკრულება **დადებულია** იმ დავის მოსაგვარებლად, რომელიც წარმოიშობა ერთ-ერთი მხარის (მომხმარებლის) მიერ პირადი, საოჯახო ან საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის **დადებული** გარიგებიდან.

განმარტება: მოყვანილ მაგალითებში ერთ ფრაზაში გამოყენებულია ერთი და იმავე ფუძის ზმნები და სახელზმნები. კერძოდ: **კისრულობს დაკისრებულ** სამუშაოს; **გაფორმებული** ხელშეკრულების... შესაბამისად **ვაფორმებთ**; **განსახორციელებელი** მოქმედებების **განხორციელებაზე**; მოქმედებების **განხორციელების** პროცესში ... მოქმედებების **განსახორციელებლად**; **დადებულია** იმ დავის მოსაგვარებლად, რომელიც წარმოიშობა ... **დადებული** გარიგებიდან.

ერთ წინადადებაში ამგვარი ერთი და იმავე ფუძის ზმნა და სახელზმნა ერთად ტავტოლოგიურ ხარვეზს ქმნის.

**ამიტომ წარმოდგენილი ფრაზები გასწორდება შემდეგ-
ნაირად:**

დასაქმებული ვალდებულებას **იღებს**, შეასრულოს მისთვის **და-
კისრებული** სამუშაო.

2019 წლის 23 ივლისს **დადებული** საიჯარო ხელშეკრულების
შესაბამისად **ვაფორმებთ** წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს.

ხელშეკრულების საგანია ბიუროს მიერ კანონმდებლობით და-
კისრებული ამავე ხელშეკრულებით განსაზღვრული ფუნქციების
განხორციელებისთვის **შესასრულებელი** გარკვეული მოქმედებების
სააგენტოს მიერ **უმზუნველყოფა**.

სააგენტო უფლებამოსილია, **შესაბამის** პროგრამაში ატვირთოს
მის მიერ გამოცემული იძულებით აღსრულებას დაქვემდებარებული
აქტი/აქტები და სააღსრულებო ფურცელი/ფურცლები.

მიანოდოს ინფორმაცია შესაბამისი ნორმატიული აქტის ძალაში
შესვლასთან დაკავშირებით, თუ აღნიშნული ცვლილება/ცვლილების
პროექტი გავლენას ახდენს სააგენტოს მიერ **განსახორციელებელი**
მოქმედებების **შესრულებაზე**.

სააგენტოს მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოქ-
მედებების **განხორციელების** პროცესში ბიუროს მონაცემთა ელექ-
ტრონული ბაზიდან მიღებული ინფორმაცია გამოიყენოს მხო-
ლოდ სააგენტოს მიერ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული
მოქმედებების **შესასრულებლად** და არ დაუშვას მიღებული ინ-
ფორმაციის გადაცემა ან სხვაგვარი ხელმისაწვდომობა მესამე პი-
რებისათვის.

ხელშეკრულება **შექმნილია** იმ დავის მოსაგვარებლად, რომე-
ლიც წარმოიშობა ერთ-ერთი მხარის (მომხმარებლის) მიერ პირა-
დი, საოჯახო ან საყოფაცხოვრებო მიზნებისთვის **დადებული** გარი-
გებიდან.

3.2.2 ზოგი ზმნის გამოყენების სტილისტიკური შეცდომები: გააჩნია, მოეპოვება, აბადია, მოეძევება

მცდარი ფორმები:

სააღრიცხვო მონაცემებს იურიდიული მნიშვნელობა *გააჩნია*.

უნდა გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ რეგისტრაციას *გააჩნია* უკეთესი სამართლებრივი საფუძველი.

წარდგენილ სარჩელს ნამდვილად *გააჩნია* სამართლებრივი საფუძველი.

კომპანიას *მოეპოვება* შესაბამისი რესურსი, რათა აღნიშნული ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოები ჯეროვნად შეაფასოს.

მოქალაქე ა.დ.-ს *მოეპოვება* 2020 წელს შექმნილი მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვითაც ფინანსური დავალიანება არ დასტურდება.

განმარტება: ქართულ ენაში არსებობს ქონა-ყოლის აღმნიშვნელი რამდენიმე ზმნა, რომლებიც უქონლობის გამოსახატავად უფრო გამოიყენება, ვიდრე მქონელობისა. ესენია: **გააჩნია, მოეპოვება, აბადია, მოეძევება...** უარყოფით ნაწილაკთაგან ისინი მხოლოდ არ ნაწილაკს შეიწყობენ: **არ გააჩნია, არ მოიპოვება, არ აბადია, არ მოეძევება...**

დასახელებული ზმნებით მქონებლობის გამოხატვა იმდენად იშვიათია, რომ უქონლობას უტოლდება. ამიტომ ისინი არ გამოიყენება დადებითი შინაარსით. შესაძლოა ამგვარი მნიშვნელობით ისინი იხმარებოდეს უარყოფით კითხვით ნაცვალსახელთან ერთად: **რამე თუ აბადია? რა გააჩნია ამ კაცს? რამე თუ მოეპოვება?...**

გააჩნია დადებითი შინაარსით უტოლდება **აქვს**, **ჰყავს** ზმნათა სემანტიკას.

ამიტომაც წარმოდგენილი წინადადებები ასე უნდა გასწორდეს:

სააღრიცხვო მონაცემებს იურიდიული მნიშვნელობა **აქვს**.

უნდა გაირკვეს საკითხი იმის შესახებ, თუ რომელ რეგისტრაციას **აქვს** უკეთესი სამართლებრივი საფუძველი.

წარდგენილ სარჩელს ნამდვილად **აქვს** სამართლებრივი საფუძველი.

კომპანიას **აქვს** შესაბამისი რესურსი, რათა აღნიშნული ტენდერით გათვალისწინებული სამუშაოები ჯეროვნად შეაფასოს.

მოქალაქე ა.დ.-ს **აქვს** 2020 წელს შექმნილი მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვითაც ფინანსური დავალიანება არ დასტურდება.

3.2.3 შეცდომები წელ- სიტყვის თანდებულიანი ფორმით გამოყენებისას: 2024 წელში/2024 წელს

მცდარი ფორმები:

გასულ წელში აღრიცხული სტატისტიკა მიუთითებს წარმოდგენილი კანონის ეფექტურობაზე.

2023 წელში დადებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ორგანიზაციას არ უდასტურდება რაიმე სახის დავალიანება.

ამ წელში დაგეგმილი გზების რეაბილიტაციისათვის სამინისტრომ შესაბამისი ტენდერი გამოაცხადა.

2020 წელში ორგანიზაციაში გამოცხადებული კონკურსის კომისიამ ჯეროვნად ვერ შეასრულა დაკისრებული მოვალეობები.

განმარტება: წელ- სიტყვაში უთანდებულო ფორმა უნდა ვიხმართ. **-ში** თანდებულიანი ფორმები შეცდომით გავრცელდა რუსულის გავლენით. **-ში** თანდებული ერთვის ამ სიტყვის მხოლოდ სრულ ფორმას **წელინადს: წელინადში** ორჯერ, **წელინადში** 12 თვეა...

შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი წინადადებები ასე გაიმართება:

გასულ წელს აღრიცხული სტატისტიკა მიუთითებს წარმოდგენილი კანონის ეფექტურობაზე.

2023 წელს დადებული მიღება-ჩაბარების აქტის მიხედვით ორგანიზაციას არ უდასტურდება რაიმე სახის დავალიანება.

ამ წელს დაგეგმილი გზების რეაბილიტაციისათვის სამინისტრომ შესაბამისი ტენდერი გამოაცხადა.

2020 წელს ორგანიზაციაში გამოცხადებული კონკურსის კომისიამ ჯეროვნად ვერ შეასრულა დაკისრებული მოვალეობები.

შენიშვნა: -ში თანდებული მხოლოდ მაშინ გამოიყენება, როცა თარიღს გამოვსახავთ რიცხვებით (**წელ- სიტყვის გარეშე**): **1989-ში, 2020-ში, 2024-ში...** ასევე ის ბუნებრივია თვეთა აღმნიშვნელი სახელების გამოყენებისას: **იანვარში, თებერვალში, ნოემბერში...**

3.2.4 თანდებულად გამოყენებული წინ და უკან სიტყვების არასწორად გამოყენების შემთხვევები: სამი დღის უკან; ხუთი წლის უკან; ერთი თვის უკან

მცდარი ფორმები:

მოქალაქემ საჩივარი შეიტანა არაყიშვილის ქუჩაზე **სამი დღის უკან** მომხდარი ინციდენტის თაობაზე.

დღეს აღარავის ახსოვს **ხუთი წლის უკან** მიღებული დადგენილება, რომლის მიხედვითაც ამგვარი ქმედება ისჯება კანონით.

უნყების მონაცემებით, **ერთი თვის უკან** დამტკიცდა შესაბამისი ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც ამ წლის განმავლობაში უნდა იხელმძღვანელონ.

განმარტება: რუსული ენიდან სიტყვასიტყვითი თარგმანის გავლენით ენაში ფეხი მოიკიდა არასწორმა ფორმებმა: **ორი წლის უკან, სამი დღის უკან... წინ და უკან** საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვებია. ადრინდელი, წინა ვითარების აღსანიშნავად გამოიყენება **წინ (მისგანაა მიღებული მსგავსი დანიშნულების მქონე სიტყვები: წინათ, უწინ, წინანდელი, წინასწარ, გუშინწინ...)**. სიტყვა **უკან** კი იხმარება შემდგომი, მომდევნო, გვიანდელი ვითარების აღსანიშნავად. გამოთქმა **მას უკან** იგივეა, რაც **მას შემდეგ**.

წინადადებები ასე გასწორდება:

მოქალაქემ საჩივარი შეიტანა არაყიშვილის ქუჩაზე **სამი დღის წინ** მომხდარი ინციდენტის თაობაზე.

დღეს აღარავის ახსოვს **ხუთი წლის წინ** მიღებული დადგენილება, რომლის მიხედვითაც ამგვარი ქმედება ისჯება კანონით.

უნწყების მონაცემებით, **ერთი თვის წინ** დამტკიცდა შესაბამისი ბიუჯეტი, რომლის მიხედვითაც ამ წლის განმავლობაში უნდა იხელმძღვანელონ.

შენიშვნა: დასახელებულმა შეცდომამ გამოიწვია ანალოგიური ხარვეზი ოფიციალურ დოკუმენტებში (ზოგადად საკანცელარიო ენაში). გავრცელებულია გამოთქმა *უკანა რიცხვით გაფორმება*. რაკი ამგვარ სიტყვათშეხამებებში წინა, ადრინდელი თარიღი იგულისხმება, ამრიგ შემთხვევებში უნდა გამოიხატოს: **წინა რიცხვით გაფორმებული დოკუმენტი; წინა თარიღით გაფორმება...**

რაც უფრო მცირეა დროის მონაკვეთი (საათი, წუთი, წამი), პარალელურ **წინ** და **წინათ** ფორმათაგან ჭარბობს **წინ** ვარიანტი. **წინათ** უფრო ხანგრძლივ პერიოდს (საუკუნე, წელი) მოიცავს.

3.2.5 წარმოდგენილი ვარ/წარმოდგენილი ხარ

უკანასკნელ ხანს ოფიციალურ-საქმიან სტილში, განსაკუთრებით კი მედიაში, **წარმოდგენილი არის/იყო** მეშველი ზმნების ანალოგიით გააქტიურდა **წარმოდგენილი ვარ/ წარმოდგენილი ხარ** ფორმები:

მცდარი ფორმები:

დებულებით გათვალისწინებულ წევრთა ნაცვლად კომისიის წევრი უწყებებიდან სხდომაზე დასასწრებად **წარმოდგენილი იყვნენ:** (ჩამოთვლილია მოქალაქეთა გვარები).

სიაში **წარმოდგენილი ვართ** ის პირები, რომელთაც იურიდიულად აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ სახელმწიფოს მიერ გაცემული გარკვეული სოციალური დახმარებით.

განცხადებაში ნათქვამია, რომ თანამშრომელთაგან მხოლოდ ეს პირი **არის წარმოდგენილი** პარტიული სიიდან.

განმარტება: ქართულში ბუნებრივი და ტრადიციულია ზმნა შემდეგი ფორმით – **ნარმოდგენილი არის**. აღსანიშნავია, რომ ის არ გამოიყენება პირველ პირში, ზოგადად იხმარება მესამე პირთან მიმართებით: ის **ნარმოდგენილია** შედარებით სრულსა და დამთავრებულ ნუსხებში; დისკუსიის დროს ერთი მხარის ყველა არგუმენტი ყოველთვის **ნარმოდგენილია** შეძლებისდაგვარად მიმზიდველად, ხოლო მეორე მხარის არგუმენტების წარმოჩენას კი თითქმის ყოველთვის უშლიან ხელს; გარკვეული ჯგუფების მიერ საქართველოს უმცირესობებად **ნარმოდგენილია**, ერთი მხრივ, მიგრანტები, მეორე მხრივ კი – ავტოქთონი ქართველები. ასევე ბუნებრივია **ნარმოდგენილი მაქვს/გვაქვს, ნარმოდგენილი გაქვს/გაქვთ, ნარმოდგენილი მქონდა/გვქონდა/გქონდა/გქონდათ** ფორმები, მაგრამ ხელოვნურია პირველსა და მეორე პირში მისი **ნარმოდგენილი ვარ/ნარმოდგენილი ხარ** სახით წარმოება.

შესაბამისად, წინადადებები ასე გაიმართება:

დებულებით გათვალისწინებულ წევრთა ნაცვლად კომისიის წევრი უწყებებიდან სხდომაზე დასასწრებად **იყვნენ**: (ჩამოთვლილია მოქალაქეთა გვარები).

სიაში **ვართ** ის პირები, რომელთაც იურიდიულად აქვთ შესაძლებლობა, ისარგებლონ სახელმწიფოს მიერ გაცემული გარკვეული სოციალური დახმარებით.

განცხადებაში ნათქვამია, რომ თანამშრომელთაგან მხოლოდ ეს **პირია** პარტიული სიიდან.

3.3 პარონიმების აღრევის შემთხვევები

3.3.1 პიროვნება/პირი

მცდარი ფორმები:

გამოქვეყნებულ ვიდეომასალაში დაფიქსირებული *პიროვნება* არ არის არც მერიის და არც საკრებულოს თანამშრომელი.

მუნიციპალიტეტისთვის უცნობია მითითებული *პიროვნებისა* და ავტომობილის მესაკუთრის ვინაობა.

ხსენებულ *პიროვნებას* ხმა სხვა *პიროვნების* სახელით ნამდვილად არ მიუცია.

სიუჟეტში მოხსენიებული *პიროვნება* არ არის დასახელებული უწყების საჯარო მოხელე.

იგი ერთ-ერთი საუკეთესო *პირია*, რომელსაც მე ვიცნობ.

განმარტება: პარონიმები *პიროვნება* და *პირი* განსხვავდებიან სემანტიკური ნიუანსით – **პირი:** ადამიანის ამა თუ იმ ზოგადი სტატუსის მაჩვენებელი (სამხედრო/სამოქალაქო/სასულიერო ... პირი). **პიროვნება:** ადამიანის ინდივიდუალური თვისებების აღმნიშვნელი (დადებითი/კეთილშობილი/უარყოფითი... პიროვნება).

შესაბამისად, წინადადებები ასე გაიმართება:

გამოქვეყნებულ ვიდეომასალაში დაფიქსირებული **პირი** არ არის არც მერიის და არც საკრებულოს თანამშრომელი.

მუნიციპალიტეტისთვის უცნობია მითითებული **პირისა** და ავტომობილის მესაკუთრის ვინაობა.

ხსენებულ **პირს** ხმა სხვა **პირის** სახელით ნამდვილად არ მიუცია.

სიუჟეტში მოხსენიებული **პირი** არ არის დასახელებული უწყების საჯარო მოხელე.

იგი ერთ-ერთი საუკეთესო **პიროვნებაა**, რომელსაც მე ვიცნობ.

3.3.2 სწორედ/სწორად

მცდარი ფორმები:

რეგისტრაცია **სწორედ** განხორციელდა და მისი გაუქმების არავითარი წინაპირობა სასამართლოს არ ჰქონდა.

აღნიშნული მოქალაქის საჩივარი **სწორედ** მიიჩნია სასამართლომ და საქმის წარმოება დაიწყო.

განმარტება: სწორად და სწორედ პარონიმებია. სიტყვის – **სწორად** მნიშვნელობებია: 1. მართებულად (სწორად მოიქცა); 2. წრფივი ხაზით, არაირიბად (გზა სწორად მიდის); 3. ტოლად, თანაბრად (სწორად მოჭრა ქალაქი).

სწორედ ნიშნავს: ზუსტად, სახელდობრ (სწორედ აქ/ახლა...)

შესაბამისად, ზემოთ მოყვანილი მაგალითები ასე უნდა გასწორდეს:

რეგისტრაცია **სწორად** განხორციელდა და მისი გაუქმების არავითარი წინაპირობა სასამართლოს არ ჰქონდა.

აღნიშნული მოქალაქის საჩივარი **სწორად** მიიჩნია სასამართლომ და საქმის წარმოება დაიწყო.

3.3.3 ეპიდემიოლოგიური/ეპიდემიური

მცდარი ფორმები:

სამინისტრო ელოდებოდა ვაქცინაციის კონკრეტულ შედეგებს **ეპიდემიოლოგიური** ვითარების გაუმჯობესების კუთხით.

ანგარიშში მითითებულია, რომ **ეპიდემიოლოგიური** ვითარება კვლავ საყურადღებოა.

განმარტება: ეპიდემიური – ეპიდემიისთვის დამახასიათებელი, ეპიდემიასთან დაკავშირებული (ეპიდემიური დაავადებანი); **ეპიდემიოლოგიური** – ეპიდემიოლოგიასთან (მედიცინის დარგთან) დაკავშირებული, ეპიდემიოლოგიისათვის განკუთვნილი (ეპიდემიოლოგიური კვლევა, ეპიდემიოლოგიური ლაბორატორია).

შესაბამისად, ზემოთ მოხმობილი წინადადებები ასე გასწორდება:

სამინისტრო ელოდებოდა ვაქცინაციის კონკრეტულ შედეგებს **ეპიდემიური** ვითარების გაუმჯობესების კუთხით.

ანგარიშში მითითებულია, რომ **ეპიდემიური** ვითარება კვლავ საყურადღებოა.

3.3.4 გასასამართლებელი/გასამართლებული

მცდარი ფორმები:

აღნიშნულია, რომ ეს დოკუმენტი არაა **გასასამართლებელი საბუთი**, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება პროცესის შეჩერება.

გასამართლებული პირი ერთი თვის განმავლობაში უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე.

განმარტება: გასამართლებელი: 1. ვინც უნდა გაამართლონ, ვისი გამართლებაც შეიძლება; 2. რითაც უნდა გაამართლონ ან გამართლდეს (გასამართლებელი საბუთი).

გასასამართლებელი: ვინც უნდა გაასამართლონ, სამართალში მისცენ.

მთლიანი კონტექსტის გათვალისწინებით წინადადებები გასწორდება შემდეგნაირად:

აღნიშნულია, რომ ეს დოკუმენტი არაა **გასამართლებელი საბუთი**, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება პროცესის შეჩერება.

გასასამართლებელი პირი ერთი თვის განმავლობაში უნდა წარდგეს სასამართლოს წინაშე.

თემა IV.

**აბრევიატურის მართებულად
დანერილობა**

4.1 გახმოვანებული აბრევიატურების წარმოება

მცდარი ფორმები:

შედგენილი დოკუმენტი გადაიგზავნა *ცესკო-სა* და ქალაქ თბილისის მერიაში.

ცესკო-მ მოქალაქის 31 აგვისტოს საჩივრის საფუძველზე შეისწავლა საკითხი.

საია-მ საანგარიშო პერიოდში რამდენიმე პრობლემური შემთხვევა აღრიცხა.

საია-ს შეფასებით, დადგენილების ეს მუხლი კანონშეუსაბამოა.

ინფორმაცია გადაიგზავნა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და *ცესკო-ში*.

აღსანიშნავია, რომ *ცესკო-ში* საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ჩატარებულ კონკურსებთან დაკავშირებით შეტანილი 12 საჩივრიდან მხოლოდ ერთია სასამართლოში გასაჩივრებული.

უნყებათაშორისი კომისია მანდატის ფარგლებში საქმიანობას გააგრძელებს *ცესკო-ს* მიერ შემაჯამებელი ოქმების გამოქვეყნებამდე.

შემთხვევათა დიდი ნაწილი *ცესკო-ს* კომპეტენციას მიეკუთვნება.

ამ თემაზე 18 აგვისტოს საოლქო კომისიაში საჩივარი შეიტანა *საია-მ*.

განმარტება: თუ აბრევიატურა სიტყვას უტოლდება (გახმოვანებულია, მაგ., *ცესკო*), ის ისე იბრუნვის, როგორც შესაბამისი ფუძის (უკუმშველი და უკვეცელი) სახელები. ასევეა თანდებულების დართვის შემთხვევაშიც.

აბრევიატურათა დაწერილობისას არ ვიყენებთ შიდა სასკვენ ნიშნებს (წერტილს, დეფისს, ბრჭყალებს...).

სწორი ფორმები:

შედგენილი დოკუმენტი გადაიგზავნა **ცესკოსა** და ქალაქ თბილისის მერიაში.

ცესკომ მოქალაქის 31 აგვისტოს საჩივრის საფუძველზე შეისწავლა საკითხი.

საიამ საანგარიშო პერიოდში რამდენიმე პრობლემური შემთხვევა აღრიცხა.

საიას შეფასებით, დადგენილების ეს მუხლი კანონშეუსაბამოა.

ინფორმაცია გადაიგზავნა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსა და **ცესკოში**.

აღსანიშნავია, რომ **ცესკოში** საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ ჩატარებულ კონკურსებთან დაკავშირებით შეტანილი 12 საჩივრიდან მხოლოდ ერთია სასამართლოში გასაჩივრებული.

უნწყებათაშორისი კომისია მანდატის ფარგლებში საქმიანობას გააგრძელებს **ცესკოს** მიერ შემაჯამებელი ოქმების გამოქვეყნებამდე.

შემთხვევათა დიდი ნაწილი **ცესკოს** კომპეტენციას მიეკუთვნება.

ამ თემაზე 18 აგვისტოს საოლქო კომისიაში საჩივარი შეიტანა **საიამ**.

ზოგიერთი გახმოვანებული აბრევიატურის წარმოების ნიმუშები:

ბრუნვის ნიშნებით

სახ.	საია	ნატო	ეუთო
მოთხრ.	საიაშ	ნატოშ	ეუთოშ
მიც.	საიას	ნატოს	ეუთოს
ნათ.	საიას(ი)	ნატოს(ი)	ეუთოს(ი)
მოქმ.	საიათი	ნატოთი	ეუთოთი
ვით.	საიად	ნატოდ	ეუთოდ

თანდებულიანი ფორმებით

საიასავით	ნატოსავით	ეუთოსავით
საიაში	ნატოში	ეუთოში
საიაზე	ნატოზე	ეუთოზე
საიასთან	ნატოსთან	ეუთოსთან
საიას(ა)გან	ნატოს(ა)გან	ეუთოს(ა)გან
საიას(ა)თვის	ნატოს(ა)თვის	ეუთოს(ა)თვის
საიას(ა)კენ	ნატოს(ა)კენ	ეუთოს(ა)კენ
საიადან	ნატოდან	ეუთოდან
საიაძღე	ნატოძღე	ეუთოძღე

ბრუნვის ნიშნებით

სახ.	სესი	სუსი	სსიპი
მოთხრ.	სესმა	სუსმა	სსიპმა
მიც.	სესს	სუსს	სსიპს
ნათ.	სესის	სუსის	სსიპის
მოქმ.	სესით	სუსით	სსიპით
ვით.	სესად	სუსად	სსიპად

თანდებულიანი ფორმებით

სესივით	სუსივით	სსიპივით // სსიპსავით
სესში	სუსში	სსიპში
სესზე	სუსზე	სსიპზე
სესთან	სუსთან	სსიპთან
სესის(ა)გან	სუსის(ა)გან	სსიპის(ა)გან
სესის(ა)თვის	სუსის(ა)თვის	სსიპის(ა)თვის
სესის(ა)კენ	სუსის(ა)კენ	სსიპის(ა)კენ
სესიდან	სუსიდან	სსიპიდან
სესამდე	სუსამდე	სსიპამდე

4.2 გაუხმოვანებელი აბრევიატურების წარმოება

აბრევიატურას, რომელიც ინიციალური წესით (ანუ, შემადგენელ სიტყვათა პირველი ასოებით) არის შედგენილი, შესაბამისი ბრუნვის ნიშანი და თანდებული დეფისით გამოეყოფა (**დსს**-დან გამოვედით; **აშშ**-ში მივემგზავრებით და სხვ.).

გაუხმოვანებელი აბრევიატურის წარმოების ნიმუშები:

ბრუნვის ნიშნებით

სახ.	შპს	სდსს
მოთხრ.	შპს-შ	სდსს-შ
მიც.	შპს-ს	სდსს-ს
ნათ.	შპს-ს//შპს- ს(ი)	სდსს-ის
მოქმ.	შპს-თ//შპს- თ(ი)	სდსს-ით
ვით.	შპს-დ//შპს-ად	სდსს-ად

თანდებულიანი ფორმებით

შპს-სავით	სდსს-სავით//სდსს-ივით
შპს-ში	სდსს-ში
შპს-ზე	სდსს-ზე
შპს-სთან	სდსს-სთან
შპს-ს(ა)გან	სდსს-ის(ა)გან
შპს-ს(ა)თვის	სდსს-ის(ა)თვის
შპს-ს(ა)კენ	სდსს-ის(ა)კენ
შპს-დან	სდსს-იდან
შპს-მდე	სდსს-ამდე

თემა IV. აბრევიატურების მართებულად დანერჩობა

შენიშვნა: თუ უცხოური აბრევიატურა გადმოიყვება ლათინური ასო-ბგერებით, მაშინ მას დეფისით გამოეყოფა ბრუნვის ნიშანი და თანდებული:

ბრუნვის ნიშნებით

სახ.	UNICEF	NATO
მოთხრ.	UNICEF-მა	NATO-მ
მიც.	UNICEF-ს	NATO-ს
ნათ.	UNICEF-ის	NATO-ს(ი)
მოქმ.	UNICEF-ით	NATO-თი
ვით.	UNICEF-ად	NATO-დ

თანდებულებიანი ფორმებით

UNICEF-ივით	NATO-სავით
UNICEF-ში	NATO-ში
UNICEF-ზე	NATO-ზე
UNICEF-თან	NATO-სთან
UNICEF-ის(ა)გან	NATO-ს(ა)გან
UNICEF-ის(ა)თვის	NATO-ს(ა)თვის
UNICEF-ის(ა)კენ	NATO-ს(ა)კენ
UNICEF-იდან	NATO-დან
UNICEF-ამდე	NATO-მდე

თემა V.

პუნქტუაციის საკითხები

5.1 მძიმის არასწორად გამოყენების საკითხები

ყველაზე გავრცელებულია **მძიმის** გამოყენებასთან დაკავშირებული შეცდომები. აღსანიშნავია, რომ მძიმის ჭარბი გამოყენების შემთხვევები უფრო მეტია, ვიდრე მისი დაკლებისა. ცალ-ცალკე განვიხილავთ სხვადასხვა სახის ხარვეზებს.

5.1.1 მძიმის არასწორად გამოყენება კავშირ თუმცა-ს შემდეგ

მცდარი ფორმები:

ხუთასამდე საჩივარი შეეხებოდა კენჭისყრის პროცედურებს, **თუმცა**, საჩივრების უმეტესობა ავლენდა პროცედურულ დარღვევებს.

სწორედ ამან განაპირობა მედიით გავრცელებული კონფლიქტური სიტუაცია, **თუმცა**, კონკრეტული ფიზიკური ძალადობის ფაქტზე ინფორმაცია არ გვაქვს.

შენიშვნა: **თუმცა** კავშირის შემდეგ მძიმე იმ შემთხვევაში დაინერება, თუ მას მოსდევს რომელიმე კავშირი ან ჩართული სიტყვა. მაგ., ეს ამბავი ვიცოდით, **თუმცა**, რა თქმა უნდა, ასეთ შედეგებს არ მოველოდით.

5.1.2 მძიმის არასწორად გამოყენება ზოგი ნაწილაკისა და კავშირის შემდეგ: მაგრამ, კი, გამო, მიერ, თურმე, თუნდაც, შემდეგ/შემდგომ, თითქოს, თითქმის, სწორედ, მაინც, ასევე

მცდარი ფორმები:

დამსაქმებელი ვალდებულია პირს შრომითი ხელშეკრულების დადებამდე ან დანიშვნამდე გააცნოს შინაგანაწესი, რის შემდგომაც, შინაგანაწესით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა ყველა დასაქმებულისათვის.

გამოსაცდელი ვადით დანიშნულ დასაქმებულთა შეფასება ხორციელდება უშუალო ხელმძღვანელის მიერ, შინაგანაწესის №2 დანართის შესაბამისად.

მოსთხოვეს თანამდებობის დატოვება, უარის მიღების შემდეგ კი, გაათავისუფლეს სამსახურიდან.

თბილსერვისი კი, ივერთუბანში სანიაღვრე არხების გასანმენდად იყო.

წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ფიზიკური ანგარიშსწორებით ემუქრებოდნენ.

1 348 000 ლარი კი, თბილისის მერიამ გამოიყენა ზემოხსენებული სამუშაოების შესრულებისთვის.

ამის გამო, სასურველია წარმოდგენილ იქნეს უძრავი ნივთის სავარაუდო მისამართი ან საკადასტრო კოდი.

კომიტეტს, ასევე, შეუძლია დანიშნოს ერთი ან რამდენიმე მომსახურებელი.

კომისიის წევრების მიერ, კანდიდატები შეფასდნენ ხუთქულიანი სკალით.

თემა V. კუნძულის საკითხები

განცხადებით, *ასევე*, მოთხოვნილია განმარტება, თუ რა მოიაზრება ნორმაში.

!!! ხშირად სვამენ **მძიმეს** ისეთი რთული წყობის წინადადებებში, რომლებშიც **რომ** კავშირი არ არის და არც მოიაზრება (რადგან მას მოჰყვება არა ზმნა, არამედ სახელზმნა). ამიტომ ასეთ შემთხვევაში გედმეტია მისი დასმა:

მაგ., იუსტიციის სახლის *მიზანია*, დიდ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში მდებარე იუსტიციის სახლებისა და საზოგადოებრივი ცენტრების მეშვეობით სახელმწიფო სერვისების მიწოდება თითოეული მოქალაქისათვის.

5.1.3 მძიის არასწორად გამოყნება ინტონაციურ პაუზასთან

მცდარი ფორმები:

მოქალაქეთა ჩართულობის ინოვაციური პლატფორმის სრულყოფისა და მომხმარებელთათვის უკუკავშირის შესაძლებლობის გაზრდის მიზნით, იუსტიციის სახლის ყველა ფილიალში განთავსდება სენსორული მონიტორები.

კვლევის მონაცემების ანალიზის საფუძველზე, გამოიკვეთება პროფესიული განვითარების საჭიროებები და დაინერგება პროფესიული განვითარების პროგრამების შეფასების ეფექტური სისტემა.

მომსახურების განვითარებისა და თანამშრომელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მიზნით, განხორციელდება კარიერული და პროფესიული განვითარების ციკლის ჰარმონიზაცია.

გამოსაცდელი ვადის განმავლობაში დასაქმებულის არადამაკმაყოფილებელი შეფასების შემთხვევაში, დამსაქმებელი უფლებამოსილია გაათავისუფლოს იგი დაკავებული თანამდებობიდან.

სამუშაოზე გამოცხადების შეუძლებლობის შემთხვევაში, საზოგადოებრივ ცენტრში დასაქმებული პირი უფლებამოსილია ისარგებლოს დასვენების დღით (შემდგომში – საპატიო დღე).

აქვე, გაცნობებთ, რომ დღეისათვის სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროში არ იძებნება სააღსრულებო წარმოება, რომელშიც კრედიტორ მხარეს წარმოადგენთ თქვენ.

... ანგარიშსწორების ვადის დარღვევის შემთხვევაში, შემსყიდველისგან მოითხოვოს პირგასამტეხლოს გადახდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ოდენობის შესაბამისად.

განსახილველ შემთხვევაში, დგინდება, რომ ##### სა-

კადასტრო კოდით აღნიშნული მიწის ნაკვეთი 2007 წლის 10 ოქტომბრიდან რეგისტრირებული იყო.

რეფორმის *ფარგლებში*, მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცედურა გამარტივდა.

სამახსოვრო ბარათში მითითებული განცხადების ნომრისა და კოდის *საშუალებით*, შესაძლებელი იქნება საქმისწარმოების სტატუსის (დამზადდა, დახარვეზდა, მიღებულია უარყოფითი გადაწყვეტილება) შესახებ ინფორმაციის მიღება სატელეფონო კონსულტაციის დროს.

შესყიდვების სამსახურის მრჩეველის (ერთი საშტატო ერთეული) შესარჩევი ღია კონკურსის *ფარგლებში*, 2021 წლის 01 დეკემბერს გასაუბრებაზე დაბარებულ იქნა 8 კანდიდატი.

წინამდებარე ხელშეკრულებაზე *ხელმოწერით*, დასაქმებული ადასტურებს შრომის შინაგანანესის გაცნობის ფაქტს.

თქვენი 2022 წლის 24 თებერვლის N... მომართვის (სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში რეგისტრაციის N...; თარიღი...) *პასუხად*, გაცნობებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2010 წლის 28 აპრილის განაჩენის საფუძველზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი მოვალის ... მიმართ ჯარიმის დაკისრების თაობაზე სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში რეგისტრირებული არ არის.

თქვენი 2021 წლის 23 დეკემბრის N... წერილით (სსიპ აღსრულების ეროვნულ ბიუროში რეგისტრაციის N...; თარიღი...) გადმოგზავნილი აღსასრულებელი დოკუმენტაციის *პასუხად*, გაცნობებთ, რომ „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის მე-3 პუნქტის *თანახმად*, სააღსრულებო ფურცელი ან/და აღსასრულებელი გადაწყვეტილება წარედგინება შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს უფროსს.

განმარტება: მოყვანილ წინადადებებში სიტყვების – **შემთხვევაში, საშუალებით, აქვე, ფარგლებში, მიზნით, საფუძველზე, მდგომარეობით, ხელმონერით, პასუხად, თანახმად...** შემდეგ მძიმე დასმული, რადგან თითქოს პაუზა იგულისხმება. **ინტონაციურ პაუზასთან მძიმე არ დაისმის, თუ მას არ მოჰყვება კავშირები (რომ, როცა, რადგან, რაკი, თუ, თუმცა, ვიდრე, მაგრამ ...),** ჩართული ან განკერძოებული სიტყვა-გამოთქმები.

5.1.4 მძიმის ზედმეტად გამოყენება გარკვეული დროის მითითების შემდეგ (რიცხვის, თვის, წლის)

მცდარი ფორმები:

2021 წლის **10 დეკემბერს**, კომისიამ იმსჯელა და გადაწყვიტა, რომ სსიპ იუსტიციის სახლის შესყიდვების სამსახურის მრჩევლის ერთ ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად წარდგენილ იქნეს...

2022 წლის **20 იანვრიდან**, ძალადაკარგულად ჩაითვალოს მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების გაფორმებამდე არსებული ნებისმიერი შეთანხმება (გარიგება, შრომითი კონტრაქტი და ა.შ.)...

2021 წელს, მომხმარებელთა კმაყოფილების დონე შეადგენს 88%-ს.

5.1.5 მძიმის გამოყენება სახელ-გვარის წინ მოცემულ თანამდებობისა თუ სტატუსის აღმნიშვნელ სიტყვებთან, როცა ისინი მიცემით ან ნათესაობით ბრუნვებშია დასმული

მცდარი ფორმები:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს ქალბატონ თამარ ახალაიას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის ქალბატონ ნინო გვანცელაძის წარდგინება.

წინამდებარე დოკუმენტი ხელმწიწერილია სსიპ იუსტიციის სახლის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის ქალბატონ ქეთევან თოფურიას მიერ.

განმარტება: წარმოდგენილ შემთხვევებში ერთადაა თავმოყრილი მიცემით და ნათესაობით ბრუნვებში დასმული როგორც გარკვეული თანამდებობის, ხელობის აღმნიშვნელი, ისე რაიმე სტატუსის გამომხატველი სიტყვები. ასეთი კონსტრუქციისას სახელ-გვარი მძიმით გამოიყოფა.

წინადადებები კუნქტუაყიის თვალსაზრისით ასე გასწორდება:

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსამართლეს, ქალბატონ თამარ ახალაიას.

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენლის, ქალბატონ ნინო გვანცელაძის წარდგინება.

წინამდებარე დოკუმენტი ხელმწიწერილია სსიპ იუსტიციის სახლის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის, ქალბატონ ქეთევან თოფურიას მიერ.

5.1.6 მძიმის ჭარბი გამოყენების შემთხვევები მოთხრობით ბრუნვაში, როცა გარკვეული ხელობა-თანამდებობის აღმნიშვნელ სიტყვას მოჰყვება სახელი და გვარი

მცდარი ფორმები:

სოფელ კობის მაჟორიტარი დეპუტატობის **კანდიდატმა, მზია ნიურმაც** გასაუბრებისას იგივე განაცხადა.

საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთმა **ჟურნალისტმა, გ. შავარდენიძემ** მიმართა აღნიშნული სარჩელით.

წარმოდგენილი წინადადებები ასე გასწორდება:

სოფელ კობის მაჟორიტარი დეპუტატობის **კანდიდატმა მზია ნიურმაც** გასაუბრებისას იგივე განაცხადა.

საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთმა **ჟურნალისტმა გ. შავარდენიძემ** მიმართა აღნიშნული სარჩელით.

5.1.7 მიმის გამოყენება განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების, ჩართულის, დანართის ან მიმართვის გამოსაყოფად

მცდარი ფორმები:

კერძოდ ადმინისტრაციულ ორგანოებს არ უმსჯელიათ და სათანადოდ არ შეუფასებიათ ის დოკუმენტაცია.

კერძოდ საჭიროა დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადაზე ადრე მოხსნა.

წინადადებები ასე გასწორდება:

კერძოდ, ადმინისტრაციულ ორგანოებს არ უმსჯელიათ და სათანადოდ არ შეუფასებიათ ის დოკუმენტაცია.

კერძოდ, საჭიროა დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადაზე ადრე მოხსნა.

5.1.8 მძიმის დასმა შესიტყვებებთან: ერთი მხრივ, მეორე მხრივ

მცდარი ფორმები:

ერთი მხრივ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იუსტიციის სახლი (შემდგომში – მეიჯარე), წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის, ... სახით (პ/ნ.....), და *მეორე მხრივ* სს საქართველოს ბანკი (ს/კ 204378869; შემდგომში – მოიჯარე), წარმოდგენილი მისი ოპერაციული დირექტორის მოადგილის (პ/ნ.....) სახით, 2019 წლის 23 ივლისის საიჯარო ხელშეკრულების შესაბამისად ვაფორმებთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს შემდეგზე ...

ერთი მხრივ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნული ბიურო (შემდგომში – ბიურო), წარმოდგენილი თავმჯდომარის, ... მიერ და *მეორე მხრივ* სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის, ... მიერ ...

განმარტება: ერთი მხრივ, მეორე მხრივ წინადადებაში ყოველთვის მძიმით გამოიყოფა, ხოლო თუ წინადადების შუაშია, მაშინ ორივე მხრიდან უნდა დაისვას მძიმე.

წინადადებები პუნქტუაციურად ასე გასწორდება:

ერთი მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – იუსტიციის სახლი (შემდგომში-მეიჯარე), წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის, ... სახით (პ/წ.....), **და, მეორე მხრივ,** სს საქართველოს ბანკი (ს/კ 204378869; შემდგომში – მოიჯარე), წარმოდგენილი მისი ოპერაციული დირექტორის მოადგილის (პ/წ.....) სახით, 2019 წლის 23 ივლისის საიჯარო ხელშეკრულების შესაბამისად ვაფორმებთ წინამდებარე მიღება-ჩაბარების აქტს შემდეგზე ...

ერთი მხრივ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აღსრულების ეროვნულ ბიურო (შემდგომში-ბიურო), წარმოდგენილი თავმჯდომარის, ... მიერ **და, მეორე მხრივ,** სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტო (შემდგომში – სააგენტო), წარმოდგენილი სააგენტოს უფროსის, ... მიერ ...

5.1.9 მძიმის დასმის საკითხი ჩართულ სიტყვებთან

ჩართული სიტყვა წინადადებაში მძიმით/მძიმეებით გამოიყოფა. ჩართული ჰქვია წინადადების წევრებთან გრამატიკულად დაუკავშირებელ სიტყვასა თუ სიტყვათა შეკავშირებას, რომელიც გადმოგვცემს, როგორ უყურებს მთქმელი წინადადებაში გამოხატულ აზრს ან თვით გამოთქმის ფორმას, ან მიუთითებს წყაროს. იგი ინტონაციურადაა გამოყოფილი წინადადებისგან, მეტწილად ეხება მთელ წინადადებას, იშვიათად კი – მის რომელიმე წევრს. სწორედ ინტონაციის გამო ხშირად ყველა სახის პაუზისას მძიმით/მძიმეებით გამოყოფენ, რაც არასწორია. პუნქტუაციური შეცდომების თავიდან ასაცილებლად მოცემულია ჩართული სიტყვებისა და გამოთქმების ძირითადი შემთხვევები:

1. ჩართული გამოხატავს, თუ როგორ უცქერის მთქმელი თქმულის შინაარსს:

ა) ჩართული გამოხატავს, რომ მთქმელი დარწმუნებულია ნათქვამის უჭველობა-უტყუარობაში: **ცხადია, რა თქმა უნდა, მართლაც, რასაკვირველია ...**

ბ) გამოხატავს მთქმელის ვარაუდს: **მგონია, ვფიქრობ, ალბათ, შესაძლებელია, ვიმედოვნებ ...**

2. ჩართული გამოხატავს მთქმელის გრძნობას, ფაქტის შეფასებას: **საბედნიეროდ, სამწუხაროდ, ჩვენდა სასიხარულოდ ...**

3. ჩართული გამოხატავს წინადადებაში გამოთქმული აზრის წყაროს, ესე იგი იმას, თუ ვის ეკუთვნის ის: **როგორც იტყვიან, ამბობენ, როგორც გადმოგვცემენ, ჩემი აზრით, ავტორის ცნობით ...**

4. ჩართული სიტყვა თუ სიტყვათა შეკავშირება გვიჩვენებს, თუ როგორ აფასებს მთქმელი მეტყველების სტილს, აზრის გამოხატვის ფორმას: **უკეთ რომ ვთქვათ, ასე ვთქვათ, ასე რომ ვთქვათ, სიმართლე რომ ვთქვათ ...**

5. ჩართული გამოხატავს ამა თუ იმ სახის მიმართვას თანამოსაუბრისადმი: **მერწმუნეთ, დამეთანხმებით, წარმოიდგინეთ ...**

6. ჩართული გვიჩვენებს აზრების თანამიმდევრობას, ან ერთგვარ დამოკიდებულებას წინ გამოთქმულ აზრთან (დასკვნას, შედეგს, დაპირისპირებას): **მაშასადამე, ჯერ ერთი, ერთი, მეორე, ამგვარად, პირიქით, სხვათა შორის, ერთი სიტყვით ...**

თუ ჩართული სიტყვა წინადადების შუაშია, მაშინ ის ორივე მხრიდან მძიმეებით გამოიყოფა.

5.2 წერტილის დასმის საკითხი სიტყვის შემოკლებისას

მცდარი ფორმები:

უძრავი ნივთის მოსარგებლედ მითითებული არიან **მოქ**: მიხეილ გეგუჩაძე და მისი ძმა.

ამ სხვადასხვა სარჩელის წარმდგენნი არიან **მოქ**: გ. ბარამიძე და დ. შაყულაშვილი.

აღსრულების ეროვნული ბიუროს ადმინისტრაციული კორპუსის, სატრენაჟორო დარბაზისა და აღსრულების პოლიციის შენობის ფასადის მინების განმენდა ორმხრივად წელიწადში 4-ჯერ საკუთარი სახსრებით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად (**მის**: აღმაშენებლის ხეივანი N99 და დიდი დილომი, I და III მიკრორაიონებს შორის, ყოფილი ტელევიზორების ქარხნის მიმდებარე ტერიტორია).

მაგ: კომიტეტმა შესაძლოა გადანყვიტოს მხარეებთან დიალოგის დასრულება რეზოლუციის მიღებით.

უნყების განმარტებაში აღნიშნულია, რომ, **მაგ**: იუსტიციის სამინისტრო არაა პასუხისმგებელი მსგავს განცხადებებზე.

განმარტება: როდესაც სიტყვა მოკლდება, შემოკლების შემდეგ წერტილი დაისმის, ხოლო თუ ამგვარი შემოკლების შემდეგ ჩამოთვლაა და საჭიროა ორწერტილი, მაშინ ჯერ წერტილი დაიწერება და შემდეგ ორწერტილი.

უძრავი ნივთის მოსარგებლედ მითითებული არიან **მოქ.:** მიხეილ გეგუჩაძე და მისი ძმა.

ამ ხვადასხვა სარჩელის წარმდგენნი არიან **მოქ.:** გ. ბარამიძე და დ. შაყულაშვილი.

აღსრულების ეროვნული ბიუროს ადმინისტრაციული კორპუსის, სატრენაჟორო დარბაზისა და აღსრულების პოლიციის შენობის ფასადის მინების განშენდა ორმხრივად წელიწადში 4-ჯერ საკუთარი სახსრებით შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად (**მის.:** აღმაშენებლის ხეივანი N99 და დიდი დილომი, I და III მიკრორაიონებს შორის, ყოფილი ტელევიზორების ქარხნის მიმდებარე ტერიტორია).

!!! რაც შეეხება სიტყვის – **მაგალითად** შემოკლებას, მისი შემოკლებისას ჯერ წერტილი დაიწერება და შემდეგ – მძიმე.

მაგ., კომიტეტმა შესაძლოა გადაწყვიტოს მხარეებთან დიალოგის დასრულება რეზოლუციის მიღებით.

უნყების განმარტებაში აღნიშნულია, რომ, **მაგ.,** იუსტიციის სამინისტრო არაა პასუხისმგებელი მსგავს განცხადებებზე.

5.3 დაწესებულებათა სახელწოდებებთან ბრჭყალების დასმის საკითხი

საანალიზო ოფიციალურ დოკუმენტებში დაწესებულებათა სახელწოდებები წარმოდგენილია როგორც ბრჭყალებში, ისე უბრჭყალებში.

მცდარი ფორმები:

სსიპ „იუსტიციის სახლის“ შესყიდვების სამსახური;

სსიპ „ანარმეო საქართველოში“;

სსიპ „ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია“;

ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტო“.

განმარტება: დაწესებულებათა სახელწოდებანი ბრჭყალებში არ ჩაისმის.

ამიტომ სწორი ვარიანტია:

სსიპ იუსტიციის სახლის შესყიდვების სამსახური;

სსიპ ანარმეო საქართველოში;

სსიპ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია;

ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტო.

თემა VI.

წინადადების აგების სირთულეები

რთული კონსტრუქციები:

ოფიციალურ-საქმიანი ენისათვის, როგორც ნაშრომის დასაწყისშივე აღინიშნა, დამახასიათებელია ლაკონიურობა და სისადავე. ასევე ნიშანდობლივია ტექსტის შედგენილობის (აგებულების) ადვილად აღსაქმელ ფორმაში მოქცევა, ანუ სტრუქტურული მონესრიგება. რა თქმა უნდა, სტრუქტურირება ნებისმიერ ტექსტს სჭირდება, მაგრამ ეს მოთხოვნა მაქსიმალურად არის ფორმალბეული საქმიანი ქალაქდების შექმნისას: დაყოფა, ნუმერაცია, ჩარჩოები, სქემები...

თუმცა ოფიციალურ დოკუმენტებში ხშირია წინადადებათა რთული კონსტრუქციები. ენის მოქნილობის თვალსაჩინოებისათვის აგებულებით შევადართო ერთმანეთს ორი სინტაქსური წყობა:

გასაუბრებაზე გასულმა სულ რამდენიმე კანდიდატმა შეძლო გადაელახა ის ბარიერი, რომელიც სსიპ იუსტიციის სახლმა დაადგინა.

გასაუბრებაზე გასულმა სულ რამდენიმე კანდიდატმა შეძლო სსიპ იუსტიციის სახლის მიერ დადგენილი ბარიერის გადალახვა.

წარმოდგენილ წინადადებებში არსებითი სხვაობა არ არის სინტაქსური წყობისა თუ აზრობრივი გამართულობის თვალსაზრისით. ორივე კონსტრუქცია მართებულია, თუმცა უპირატესობა უნდა მივანიჭოთ მეორე წინადადებას, რადგან მარტივი აგებულებისაა და მეტად მოქნილი.

ზერთული კონსტრუქციები:

ოფიციალურ დოკუმენტებში ზოგჯერ იყენებენ არა მხოლოდ რთული სინტაქსური აგებულების წინადადებებს, არამედ ზერთულ კონსტრუქციებსაც.

სამინისტრო, ზოგადად, მხარს უჭერს საჯარო და კერძო სტრუქტურებში მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა დასაქმების ხელშეწყობისაკენ მიმართულ ღონისძიებებს ამ უკანასკნელთა მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის ხელშეწყობისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით, რომლის მისაღწევადაც სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი ახორციელებს მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და დასაქმების პროგრამებს/პროექტებს როგორც პენიტენციური დაწესებულების შიგნით, ისე მის გარეთ.

აქვე მხედველობაშია მისაღები, რომ მიუხედავად იუსტიციის სამინისტროს სისტემის მზაობისა მსჯავრდებულთა/ყოფილ პატიმართა დასაქმების, მათი პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიმართულებით, გასათვალისწინებელია კანონმდებლობით და ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორებით განპირობებული მთელი რიგი გარემოებებისა საბიუჯეტო დაწესებულებებში.

ზერთული კონსტრუქციებით ტექსტის აგება არაა მართებული, რადგან რთულია აღსაქმელად და აზრი ბუნდოვანია. ამგვარი წინადადებების გამოყენებით ტექსტის ავტორის მიზანია ერთ ფრაზაში ჩაათოს სათქმელი. ეს კი თავისთავად იწვევს როგორც გრამატიკულ შეცდომებს, ასევე შინაარსის ბუნდოვანებას. ამით კი ვერ მიიღწევა საკანცელარიო ენისათვის დამახასიათებელი აზრის გამოხატვის მკაფიოობა და სიცხადე. ამის თავიდან ასაცილებლად ერთ-ერთი საშუალება არის ამგვარი ზერთული კონსტრუქციის დაყოფა რამდენიმე წინადადებად, რაც გააადვილებს აზრის გაგებას და ტექსტი უფრო აღქმადი გახდება.

მოცემულია ზერთული კონსტრუქციის დაყოფის ნიმუში:

იუსტიციის სამინისტრო ზოგადად მხარს უჭერს საჯარო და კერძო სტრუქტურებში მსჯავრდებულთა და ყოფილ პატიმართა დასაქმების ხელშეწყობისაკენ მიმართულ ღონისძიებებს. მსჯავრდებულთა რესოციალიზაცია/რეაბილიტაციის ხელშეწყობისა და საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედებს მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ცენტრი. იგი ახორციელებს მსჯავრდებულთა პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და დასაქმების პროგრამებს/პროექტებს როგორც პენიტენციური დაწესებულების შიგნით, ისე მის გარეთ.

იუსტიციის სამინისტროს სისტემაში არსებობს მზაობა მსჯავრდებულთა/ყოფილ პატიმართა დასაქმების, მათი პროფესიული მომზადება-გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობის მიმართულებით. მიუხედავად ამისა, მხედველობაში მისაღებია და გასათვალისწინებელია საბიუჯეტო დაწესებულებების კანონმდებლობით და ფინანსურ-ეკონომიკური ფაქტორებით განპირობებული მთელი რიგი გარემოებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

- **არაბული 2004** – ავთ. არაბული, ქართული მეტყველების კულტურა, თბილისი.
- **აფრიდონიძე 2007** – შ. აფრიდონიძე, ჩვენი ენა ქართული, თბილისი.
- **ბიულეტენი 2019-2020** – სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, თბილისი.
- **ბიულეტენი 2021-2022** – სახელმწიფო ენის დეპარტამენტი, თბილისი.
- **თანამედროვე ქართული ენის ნორმები 1970**, თბილისი.
- **კვაჭაძე 2010** – ლ. კვაჭაძე, თანამედროვე ქართული ენის სინტაქსი, თბილისი.
- **მართლწერის ლექსიკონი მედიისათვის 2016**, თბილისი.
- **მართლწერის 80 რეკომენდაცია 2021**, თბილისი.
- **ქართული ენის ორთოგრაფიული ლექსიკონი 1998**, თბილისი.
- **ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი 2011**, თბილისი.
- **ქართული სახელმწიფო ენის ოფიციალურ-საქმიანი სფერო – ორთოგრაფიულ-სტილისტიკური ლექსიკონი 2017**, თბილისი.
- **ქართული სიტყვის კულტურის საკითხები** – წიგნი I-XXIII, თბილისი.

